აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№14 (25.192) 18 აპრილი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, მთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 13 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

„მინისტრის საათის“ ფორმატში, უმაღლეს საბჭოში ზაზა შავაძეს მოუსმინეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, სოფლის მეურნეობის მინისტრს ზაზა შავაძეს მოუსმინეს, რომელმაც „მინისტრის საათის“ ფორმატში უწყების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგები შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა

ზაზა შავაძის ინფორმაციით, სამინისტრო 2025 წელს არაერთ პროგრამას განახორციელებს, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების, საოჯახო მეურნეობებისა და მეწარმე სუბიექტების განვითარების ხელშეწყობას, პროდუქციის მწარმოებელთა ეფექტიანობისა და მდგრადობის ამაღლებას.

მინისტრმა დეპუტატების წინაშე გამოსვლისას, სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტზე ისაუბრა. ზაზა შავაძის ინფორმაციით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 4 805 972 ლარით გაიზარდა და 36 820 550 ლარს შეადგენს, რომელიც მოიცავს 16 პროგრამას და 12 ქვეპროგრამას.

„აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2025 წელს განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, დაფინანსებული იქნება არანაკლებ 2500 პროექტი, რომლის ბიუჯეტი მიმდინარე წელს არის 3 856 000 ლარი.

ფერმერების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წელსაც გაგრძელდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების უფასოდ დამუშავება. პროგრამის ფარგლებში, 2 438 ჰექტარ ფართობზე მეტი დამუშავდება შესაბამის აგროვადებში, რისთვისაც დაიხარჯება 1 567 173 ლარი.

2025 წელს გაგრძელდა აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგების მიმართულებით, 4200 ფერმერს და აგრომეწარმეებს საველე პირობებში ჩაუტარდება სწავლება-კონსულტირება, რომლის ბიუჯეტი 342 000 ლარით განისაზღვრა“, - განაცხადა ზაზა შავაძემ.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხაზი გაუსვა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტებს, გარემოს ხარისხობრივი მგომარეობის გაუმჯობესებას, ტყის დაცვას და მოვლას, ტყეების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების შენაჩუნებას, რომლის განხორციელებისთვისაც პროგრამები 2025 წელს 14 425 347 ლარით დაფინანსდება.

რაც შეეხება აგროსერვისების განვითარების ხელშეწყობას, მინისტრის განმარტებით, მიმდინარე წელს 11 123 242 ლარითაა დაფინანსებული, ხოლო სსიპ „ლაბორატორიული კლევითი ცენტრის“ მომსახურების ბიუჯეტი 1 750 054 ლარია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

დეპუტატებმა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოხსენება ცნობად მიიღეს.

ნანა აბულაძე

რას გვასწავლის ბაყაყ ჩიკოს თავგადასავალი, ანუ მეოთხე პრემიერა – თოჯინების თეატრში

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მიმდინარე, 88-ე თეატრალურ სეზონზე მეოთხე პრემიერა შედგა. დასის რეპერტუარს სპექტაკლი „მოხერხებული ბაყაყი ჩიკო“ შეემატა, რომელიც ეზოპეს იგავ-არაკების მიხედვით, რეჟისორებმა - ნინო დავითაშვილმა და ვლადიმერ ბიბილეიშვილმა დადგეს. სპექტაკლისთვის ორიგინალური მუსიკა კომპოზიტორმა მინდია ხითარიშვილმა შექმნა, დამდგმელი მხატვარი - გიორგი გოგიტიძე, რეჟისორის თანაშემწე - ნინო მუხაშარია. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: მინდია ჩოხარაძე, ირმა მგელაძე, ვანო მაღლაკელიძე, კობა ფაცურია, სოფიო ცინცაძე, მერი დიასამიძე და მარიკა ბულეიშვილი. საპრემიერო ჩვენებას აჭარის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე, მინისტრის მოადგილე ირმა აბულაძე, მოწვეული სტუმრები და, რა თქმა უნდა, ბავშვები ესწრებოდნენ.

„მოხერხებული ბაყაყი ჩიკო“ თოჯინური სპექტაკლია და 4 და მეტი წლის მაყურებელზეა გათვლილი.

ამბავი, რომელსაც მეზღაპრე სცენიდან გვიყვება, მოხერხებულ ბაყაყზეა. გასაჭირში ჩავარდნილ ჩიკოს ყურცქვიტა ბაფი ეხმარება და სიკვდილისაგან იხსნის. მეფე ლომის, ელვინის, ბრძანებით, ტყეში კრება იმართება. მელა ლეისი, დათვი უილბერი, ღორი დუდი და ვირი როქსი ერთხმად გადაწყვეტენ, რომ ლომს საუზმედ უსუსური ყურცქვიტა მიართვან. სწორედ აქედან იწყება დიდი და საინტერესო თავგადასავალი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ბაფის მხსნელად ბაყაყი ჩიკო მოევლინება. ჩიკო შეადგენს ყურცქვიტას ტყიდან გაქცევის გეგმას, მაგრამ ცხოველები ხელს უშლიან მიზნის მიღწევაში. საბოლოოდ, ბაყაყი ჩიკო გონიერებით ამარცხებს ელვინს. ლომი საკუთარ ანარეკლთან ბრძოლაში იღუპება, ადრე მტრულად განწყობილი ცხოველები კი, ამჯერად, მეგობრებად იქცევიან და მეფედ ჩიკოს ირჩევენ. სპექტაკლი გვესაუბრება ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: სიმამაცე, თავდადება, გონიერება, განათლებულობა, მეგობრობა და მოხერხება. მსახიობების ოსტატობით, ორიგინალური რეჟისორული კონცეფციით და კომპოზიტორის მიერ სპექტაკლისთვის შექმნილი ორიგინალური მუსიკით სცენაზე იქმნება ზღაპრული ატმოსფერო, რომელიც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას გვიტოვებს.

- აღფრთოვანებული ვარ სპექტაკლით. რეჟისორს, ქალბატონ ნინოს ვულოცავ ამ არაჩვეულებრივ დადგმას. ეს არის ბავშვების ჯადოსნური სამყარო, რომელიც ცოცხლობს, რომელსაც ჰყავს საუკეთესო მაყურებელი და მეც აღმოვჩნდი, მართლაც, სასწაულ სამყაროში მთელი სპექტაკლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ეს ძალიან დიდი მნიშვნელობის თეატრია. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბათუმის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ - ირაკლი კიკვაძეს იმისთვის, რომ ჰყავს ძალიან ძლიერი შემოქმედებითი გუნდი. ამ პატარა სპექტაკლში

იხ. გვ-10 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

გიორგი გახარია საგამოძიებო კომისიის სკამზე – მთავარ კითხვაზე პასუხის გარეშე

დაახლოებით ორი თვეა, რაც პარლამენტში 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის სხდომა მიმდინარეობს, რომლის თავმჯდომარეც ვიცე-სპიკერი თეა წულუკიანია.

საზოგადოება ინტერესით შეხვდა საგამოძიებო კომისიის სკამზე პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერის გიორგი გახარიას გამოჩენას, რომელიც „ქართული ოცნების“ რიგებში ყოფნის დროს შინაგან საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობებს იკავებდა. გახარია 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით დაიკითხა.

თავდაპირველად, მან პარტიის ოფისში ბრიფინგი მაშინ ჩანიშნა, რა დროსაც საგამოძიებო კომისიაზე ელოდებოდნენ, მაგრამ, საბოლოოდ, 14 აპრილს, 12:00 საათზე ჩანიშნული ბრიფინგი გაურკვეველი დროით გადადო და საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოცხადდა.

ოპოზიციაში წასული ექსპრემიერი საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმაციას არ აღიარებს და მაინც, პარლამენტში შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის კითხვებს ექვსი საათის განმავლობაში პასუხობდა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მან მისვლის მიზეზებზეც ისაუბრა.

კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანმა ხაზი გაუსვა, რომ გახარიას სხდომაზე მისვლა საქართველოს პარლამენტის აღიარებას ნიშნავდა.

„მადლობა, რომ მობრძანდით. როგორც ჩანს, აღიარეთ საქართველოს პარლამენტი და თითოეული ჩვენგანი, ჩვენი დეპუტატის უფლებამოსილება, ეს მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს“, - მიმართა თეა წულუკიანმა კომისიის სხდომაზე მისულ გიორგი გახარიას.

ყოფილი პრემიერის თქმით, იქ მისვლა არ ნიშნავს, რომ ამ კომისიას აღიარებს. მისი აზრით, ეს კომისია ზემოქმედებს საქართველოს მოქალაქეებზე და ამიტომ თავისი აზრი უნდა დააფიქსიროს.

„გულწრფელად გეუბნებით ქალბატონო თეა, მე დღეს აქ მოსვლას არ ვაპირებდი. ვხედავ, რომ თქვენ ამ კომისიას იყენებთ ჰიბრიდული ომისთვის, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის საქართველოს მოქალაქეებზე. ზუსტად მსგავსი რამ მოხდა ისეთი სიმბოლური გმირის, როგორიც არის ანწუხელიძე, მისი გმირობის გაუფასურების კონტექსტში. მაშინ, გულწრფელად ვამბობ, არ ვამატებ არც ერთ სიტყვას, მაშინ ჩავთვალე, რომ მე ვალდებული ვარ, აქ მოვიდე“, - განაცხადა სხდომაზე მყოფმა გიორგი გახარიამ.

საზოგადოება განსაკუთრებით ელოდებოდა 20 ივნისის საქმის განხილვას და საბოლოოდ გარკვევას, ვის კისერზე იყო იმ ღამის სისხლიანი ანგარიშსწორება, თუმცა აქაც ვერ მოვისმინეთ, ვისი ბრძანებით ესროდა აქციის მონაწილეებს დამიზნებით სპეცრაზმი.

„ბრძანება სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაბამისი გეგმის და პოლიციის შესახებ კანონის შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ეხებოდა ცრემლსადენ გაზს, გავეცი მე, იმ შემთხვევაში, როდესაც ეხებოდა წყლის ჭავლს - გავეცი მე. სხვა შემთხვევებში, სპეციალური საშუალებების გამოყენების ბრძანება არც მე და არც ჩემს მოადგილეებს არ გაუციათ. ზუსტად იგივე პასუხი არის დაკითხვის ოქმში“, - განაცხადა გახარიამ.

რაც შეეხება რეზინის ტყვიების გამოყენებას, რომლითაც აქციის მონაწილეები დაზიანდნენ და ორმა ადამიანმა თვალი დაკარგა, ამაზე პასუხი გახარიას არ აქვს, თუმცა აღნიშნა, რომ „პოლიციის შესახებ კანონის“ შესაბამისად, ყველა პოლიციელს ჰქონდა რეზინის ტყვიების გამოყენების უფლება თვითმოგერიების რეჟიმში, რაზეც თეა წულუკიანმა უპასუხა: „ბატონო გიორგი, ისე ნუ იზამთ, თითქოს ჩვენ დავთხარეთ ვიღაცას თვალები. გისვამთ კითხვებს. თქვენი ხელმძღვანელობის დროს მოხდა და გაგვეცით პასუხი“.

გიორგი გახარიამ აღიარა, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გრძნობს და მას არ გაურბის. მისივე თქმით, იყო გარკვეული გადაცდომები იმ გეგმიდან, რომლითაც აქციის დაშლის ოპერაცია იმართებოდა, თუმცა კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს ამ გადაცდომებზე, არ დაუსახელებია.

სხდომაზე საუბარი შეეხო გიორგი გახარიას გადადგომის საკითხსაც. მან თანამდებობა „ნაციონალური მოძრაობის“ იმჟამინდელი თავმჯდომარე ნიკა მელიასთვის დეპუტატის მანდატის გაუქმების შემდეგ დატოვა, თუმცა კომისიის წევრებისთვის გაუგებარია, რატომ შეიცვალა გახარიამ შეხედულება და თანამდებობა დატოვა მაშინ, როდესაც გუნდში შეთანხმებულები იყვნენ ნიკა მელიასთვის მანდატის გაუქმებასა და მის დაკავებაზე.

„მარტივი რამ მოხდა - პროცესის სამართავად, მე არ ვიცი კონკრეტულად თქვენთან თუ სხვა ყველასთან, შემოვიდა ივანიშვილი, რომელმაც ეს პროცესი თავიდან ბოლომდე აიღო თავის თავზე და დაიწყო ამ პროცესის მართვა. მე ეს ფაქტებით ვიცი და ჩემი გადადგომა იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ მელია არ უნდა დაგვეკავებინა, ჩემი გადადგომა გამოწვეული იყო იმით, რომ არც თქვენ, არც საქართველოს მოქალაქეებს ისეთი პრემიერი და მინისტრები, რომელსაც უმართავს ადამიანი (ივანიშვილი), რომელმაც 1 თვის წინ თქვა, რომ პოლიტიკიდან მივდივარო, აღარ სჭირდებოდა,“ - უთხრა გახარიამ თეა წულუკიანს.

სხდომაზე მეტ-ნაკლებად ვნახეთ აგრესიაც, იუმორიც, ცინიზმიც, ირონიული სიცილიც, დახმარების თხოვნაც და არაპროფესიონალიზმში დადანაშაულებაც. აღმოჩნდა ისეც, რომ გიორგი გახარიას ბევრი რამ არ ახსოვდა. მოკლედ, ყველაფერი ვნახეთ და გავიგეთ გარდა მთავარისა - ვინ გასცა 20 ივნისს რეზინის ტყვიების დამიზნებით სროლის ბრძანება, არადა, საზოგადოებას ყველაზე მეტად ეს აინტერესებდა. სხვა თუ არავინ და არაფერი, ახალგაზრდები მაკო გომური და გიორგი სულაშვილი ღირსები არიან, იცოდნენ, ვინ წაართვა მათ თვალი და შეუცვალა ცხოვრება.

საგამოძიებო კომისიაზე გიორგი გახარიას მისვლას ოპოზიციის სპექტრის კრიტიკა მოჰყვა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ მათთვის გიორგი გახარიას საგამოძიებო კომისიაზე მისვლა პირდაპირი დასტურია იმისა, რომ ექსპრემიერი საქართველოს პარლამენტს ლეგიტიმურობას ანიჭებს და რომ ის „ქოცია“.

„გახარიაც, ივანიშვილიც და კობახიძეც ქოცები არიან. ყველა ერთად დიდი საქოცეთია. ამ ე.წ პარლამენტს არ ვთვლით ლეგიტიმურად, შესაბამისად, მის არცერთ სტრუქტურასაც არ ვთვლით ლეგიტიმურად და იქ მისვლა ჩვენთვის, როგორც პოლიტიკური პარტიისთვის არის გაუმართლებელი“ - აღნიშნა მედიასთან საუბარში პარტია ენმ-ის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ბარამიძემ.

პარტია „ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძის თქმით კი საგამოძიებო კომისია ფარსია.

„ფარსში როცა მონაწილეობ, ფარსის ნაწილი ხარ! - პარლამენტში და კომისიაში მონაწილეობა არის „ოცნების“ „გაპრავება", წერტილი!“ - წერს სოციალურ ქსელში ხაზარაძე.

გიორგი გახარია კრიტიკის სამიზნე გახდა მმართველი გუნდიდანაც.

პარლამენტის თავმჯდომარემ მას მატყუარა უწოდა.

„ჩვენების მიცემისას, გიორგი გახარია, ბევრ საკითხზე საკუთარ ტყუილშივე გაიხლართა. ცალკე აღსანიშნავია კითხვა, მელიას დაკავება-არდაკავების საკითხში უცხოელების ჩარევაზე, რომელმაც ექსპრემიერი დააბნია.

კითხვას რამდენჯერმე გაექცა, შემდეგ, „ჯერ ვერ გაიხსენა, შეხვდა თუ არა რომელიმე ელჩს;

შემდეგ გაიხსენა, რომ შეხვდა, მაგრამ ვერ გაიხსენა, რა საკითხზე;

შემდეგ გაიხსენა, რომ მელიას საკითხზე, მაგრამ ასე მითხრეს, დასაჭერია და დაიჭირეო (ამ ბოლო ტყუილს ვინ დაიჯერებს, მაგრამ ამ ტყუილით ყოფილი ელჩი რომ დამატებით სკანდალში გახვია, ეს ცალკე საკითხია);

მართლაც, საცოდავი სანახავი იყო, ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ერთ საკითხზე, რამდენიმე წუთში, სამჯერ იტყუება“ - დაწერა შალვა პაპუაშვილმა სოციალურ ქსელში.

გახარიას მისვლას საგამოძიებო კომისიაზე აფასებენ პარტია „ხალხის ძალაშიც“, ამ პარტიის და ბათუმის საკრებულოს წევრ ნინო ცხვარაძის თქმით, გახარიამ სხდომაზე ბევრ კითხვას თავი აარიდა.

- საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომების მოსმენა მძიმეა საზოგადოებისთვის. მართალია, კომისია უფრო ადრე უნდა შემდგარიყო და სამართლებრივი პასუხისმგებლობაც გაცილებით ადრე უნდა დამდგარიყო იმ ადამიანების თუ ჯგუფების მიმართ, რომლებმაც საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე უამრავი ცოდვა ჩაიდინეს, მაგრამ გვიანი არც დღესაა. ჩვენ ვისმენთ რეჟიმის მსხვერპლთა განცხადებებს, ადამიანის ისტორიებს, თუ რა ჯოჯოხეთი გამოიარეს.

უფრო მოგვიანებით კი ქვეყნის რეკვაში ჩაერთო ბატონი გახარიაც, რომელმაც საგამოძიებო კომისიაზე ბევრ კითხვას თავი ოსტატურად აარიდა მარტივი პასუხით - არ მახსოვს. გახარიას თუ არ ახსოვს, ხალხს ახსოვს მისი მზაკვრული ქმედებები, გარიგება „ნაცმოძრაობასთან", მაკო გომურის თვალიც. დანარჩენს კომისია გადაწყვეტს.

არამხოლოდ გახარიას, ბევრი ადამიანის მიმართ დადგება სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი და სამართალი გვიან, თუმცა მაინც იზეიმებს, - გვითხრა ნინო ცხვარაძემ.

გახარიას თანაპარტიელები კი ამბობენ, რომ მათი ლიდერის მისვლა საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამართლებულია.

- გახარია მივიდა და ილაპარაკა სიმართლე იმ ფაქტებზე, რაც საზოგადოებას აინტერესებს. ორი საკვანძო ფაქტი გაჟღერდა ე.წ. საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, რაც აქამდე გახარიას პირიდან არ თქმულა:

1. 20 ივნისის კონტექსტში, გახარიამ პირველად აღნიშნა, რომ მას არ გაუცია სპეციალური საშუალებების გამოყენების ბრძანება და ეჭვის დონეზე დააფიქსირა კიდეც პოზიცია, რომ შესაძლოა ივანიშვილის ხელი ერიოს გარკვეული ძალოვანი ქვედანაყოფების გავლით (ის, რაც ყველამ ისედაც ვიცოდით!).

2. წლების შემდეგ, ივანიშვილმა საჯაროდ რომ განაცხადა და პირობა დადო, პოლიტიკიდან სამუდამოდ მივდივარო, იყო მტკნარი ტყუილი. ეს მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად თქვა გახარიამ და აღნიშნა, რომ მელიას დაჭერაში ივანიშვილი უშუალოდ იყო ჩართული ოპერაციის დონეზე. გამომდინარე აქედან, გახარიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თანამდებობიდან გადამდგარიყო, რადგან მან არ დაუშვა, ყოფილიყო ფორმალური პრემიერი.

ამის შემდეგ „ოცნების“ წევრები აიშალნენ და გადავიდნენ ჩვეულ უზრდელობაზე და ჰქონდათ მცდელობები, რომ ვიზუალური ეფექტი შეექმნათ, რომელიც შინაარსისგან სრულიად იყო დაცლილი.

პირდაპირ ვამბობ, რომ, ჩემი აზრით, კომისიაზე გახარიას ვიზიტს ჰქონდა პოზიტიური ეფექტი და ამას მომავალი პროცესები დაგვიდასტურებს. ის არ ერიდებოდა არც თანამდებობაზე ყოფნის დროს მწვავე პოლიტიკურ დისკუსიებს და არც ოპოზიციაში ყოფნისას ატარებს ე.წ. იგნორის პოლიტიკას, მსგავსად სხვა პარტიების ლიდერებისა. კითხვებს არ გაურბის და არც მომავალში აპირებს გაექცეს, თუნდაც ყველაზე მწვავე კითხვებს“ - განაცხადა ჩვენთან საუბარში პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის წევრმა არჩილ სამნიძემ.

გახარიას პარტიაში ასევე ფიქრობენ, რომ მისი კომისიაზე მისვლით „ისტორიის გადამწერებს“ გაკვეთილი ჩაუტარა.

„გახარია კომისიაზე მივიდა და ისტორიის გადამწერებს ჩაუტარა გაკვეთილი თუ როგორია ნამდვილად სუვერენული სახელმწიფო და როგორ უნდა გამოიყურებოდეს მისი ღირსეული პირველი პირი“, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში პარტია „გახარია საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა თემო ტარიელაძემ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი უზბეკეთის სპორტის მინისტრ ადჰამ იკრამოვს შეხვდა. შეხვედრას საქართველოს სპორტის მინისტრი შალვა გოგოლაძე, აჭარის განათლების და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი და ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ესწრებოდნენ. მხარეებმა სპორტის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებსა და ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებაზე იმსჯელეს. სულხან თამაზაშვილმა აღნიშნა, რომ აჭარა გამორჩეულია სპორტული ტრადიციებითა და ბუნებრივი პირობებით. რეგიონში აქტიურად ვითარდება სპორტული ინფრასტრუქტურა, მხარდაჭერილია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სპორტსმენების პროფესიული ზრდა. ბათუმი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს უზბეკურ ტრადიციულ სპორტის სახეობაში - კურაშში, რომელიც სპორტის ერთ-ერთი უძველესი მიმართულებაა. ჩემპიონატი სპორტის ამ სახეობაში აჭარაში პირველად ტარდება.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილმა ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ბათუმის მერიებსა და საკრებულოებში გაცნობითი ხასიათის შეხვედრები გამართა. შეხვედრების ფარგლებში, სულხან თამაზაშვილმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს პირადად გააცნო ხედვა მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების შესახებ. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ტურისტულ სეზონზე და აღნიშნა, რომ ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანია ზაფხულის სეზონისთვის მზადება. საუბარი შეეხო როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ისე სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას. შეხვედრებზე ასევე იმსჯელეს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და სამომავლო გეგმებზე.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრის შეხვდა. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა. შეხვედრაზე საერთო ღირებულებებზე, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს, - ქართული ეკლესია ყოველთვის იყო და იქნება მშვიდობის, ერთიანობისა და სტაბილურობის გარანტი ჩვენი ქვეყნისთვის. აღსანიშნავია, მეუფის ძალისხმევა რეგიონში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ირაკლი გოგავა: ეს არის ევროპის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რისი გაგრძელებაც აღარ შეიძლება

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს შესახებ კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო, რომელიც საკმაოდ მკაცრ ფორმულირებებს და მძიმე შინაარსის ჩანაწერებს მოიცავს. მონიტორინგის კომიტეტის მიერ მომზადებული რეზოლუციის მიხედვით, საქართველოში ვითარება უარესდება, რეკომენდაციები კი არ სრულდება. მწვავედ არის გაკრიტიკებული ბოლო თვეებში მიღებული კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. შურისძიებად არის შეფასებული დემონსტრანტების და სამოქალაქო აქტივისტების დაკავება. მოწოდებაა, რომ ახალი არჩევნების დასანიშნად ხელისუფლებამ ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ინკლუზიური დიალოგი დაიწყოს. რეზოლუციის პროექტის კენჭისყრას წინ არანაკლებ მწვავე დებატები უძღოდა, რა დროსაც გამომსვლელებს შორის პოზიციები გაიყო. ხელისუფლების კრიტიკასთან ერთად, გაკეთდა განცხადებები ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ. დებატებს არ ესწრებოდა ქართული დელეგაცია, რომელმაც სამი თვის წინ უფლებამოსილების დათქმებით ცნობის გამო, საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობა შეაჩერა. მმართველი გუნდი რეზოლუციის ავტორებს ორმაგ სტანდარტებსა და არასამართლიან მიდგომებზე მიუთითებს

ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, პოლიტოლოგი ***ირაკლი გოგავა.***

- როგორ შეაფასებთ ევროსაბჭოს მორიგ რეზოლუციას, რომელიც მიიღეს 89 ხმით სამის წინააღმდეგ?

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში 306 დეპუტატია და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დეპუტატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არჩია, არ დასწრებოდა საქართველოს წინააღმდეგ კენჭისყრას. სწორედ ამიტომ, მხოლოდ 89 ხმით დამტკიცდა რეზოლუცია. ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ შემდეგ მოქმედებებში. გარდა ამისა, მოდით, განვიხილოთ, რა სარგებელი მოაქვს ამ ასამბლეას. პირადად მე, დღესდღეობით, ვერანაირ სარგებელს ვერ ვხედავ, გარდა იმისა, რომ ჭკუას გვასწავლიან იმ დროს, როდესაც თავად შეგვიძლია დავარიგოთ, როგორ მოიქცნენ. მათ ავიწყდებათ, რომ საქართველოს აქვს 3000-წლიანი სახელმწიფო გამოცდილება და მენტორის ტონით არ უნდა გველაპარაკონ. შესაძლოა, 90-იან წლებში ჩვენთვის მსგავსი ჭკუის დარიგებები სასარგებლო იყო, რადგან დემოკრატიული თუ კაპიტალისტური სისტემები უცხო იყო და გარკვეული ილეთები, მექანიზმები უნდა აგვეთვისებინა, მაგრამ დღეს უკვე იმ დონეზე კი ვართ, რომ შეგვიძლია, იქით წავუკითხოთ ლექცია - რა არის მისაღები ცივილიზებული სამყაროსთვის და რა - არა, მით უმეტეს, როდესაც დემოკრატიის, პლურალიზმის და სიტყვის თავისუფლების სერიოზული კრიზისია ევროპაში. ჯეი დი ვენსმა, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პირდაპირ მოუწოდა ევროპელებს, დააბრუნონ სიტყვის თავისუფლება, შეწყვიტონ კონსერვატიული პარტიების დევნა და მოეშვან მედიის ცენზურას.

- საპროტესტო აქციები გრძელდება... რა კომენტარს გააკეთებთ შექმნილ სიტუაციაზე?

- საპროტესტო აქციები არ შეწყდება მანამ, სანამ აფინანსებენ. ტრამპის და ილონ მასკის მიერ გახმოვანებულმა ფაქტებმა, „იუსაიდის“ დახურვამ და სხვა ინფორმაციებმა გვაჩვენა, რომ ჩვენთან ხელოვნურად შექმნილი ქაოსი ფინანსდებოდა უცხოეთიდან, ასევე, ბრიუსელის კომისრებიც აგზავნიან თანხებს, რომელიც ურიგდება საპროტესტო აქციებში მონაწილეებს ჰონორარის სახით. შესაბამისად, ეს 260 კაცი, რომელიც ყოველდღე იკრიბება, არ შეწყვეტს პარლამენტის წინ სიარულს. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მშვენივრად ხვდება, რაშიც არის საქმე.

- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, მაინც რაშია საქმე?

- დასავლეთის აგრესიულ წრეებს სურდათ საქართველოს ჩათრევა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში, რაც ჩვენმა მთავრობამ არ დაუშვა და ეს უნდა დავუფასოთ. დიდ უბედურებებს და შარს გადარჩა ქართველი ხალხი. მიმაჩნია, რომ იგივე პოლიტიკა უნდა გავაგრძელოთ, იმიტომ, რომ ომს მოაქვს ნგრევა, სიკვდილი, ეკონომიკის განადგურება და ა.შ. ქვეყანა რამდენიმე ათეული წლით უკან დაიხევს... მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ვარიანტი არცკი უნდა განვიხილოთ. მხოლოდ მშვიდობას მოაქვს განვითარება. შესაბამისად, გვჭირდება უწყვეტი მშვიდობა მომავალშიც.

- რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობა?

- 2012 წელს, როდესაც გაიმარჯვა ივანიშვილმა, მაშინაც იყო ამ კომისიის შექმნის სურვილი, რაც დასავლეთის ზეწოლის გამო, ვერ განხორციელდა. მათ მოითხოვეს, რომ ხელი არ ეხლოთ სააკაშვილისთვის. გახსოვთ ალბათ, გამარჯვებიდან რამდენიმე დღეში დაყენა სააკაშვილის გადადგომის საკითხი ბატონმა ბიძინამ, მაგრამ „ჩამოვარდნენ“ უცხოელები და შეაჩერეს. ფაქტობრივად, მათ დაუნიშნეს „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იმ იმედით, რომ მომავალში არსებული ხელისუფლების რეიტინგი დაეცემოდა და კვლავ მოიყვანდნენ ხელისუფლებაში. ქართველი ხალხი ასე არ ფიქრობს, რადგან იცის, რომ ეს არის დანაშაულებრივი ძალა. 2022 წლიდან, როდესაც მსოფლიოში შეიცვალა გეოპოლიტიკური ვითარება, ჩვენს ხელისუფლებას მიეცა სუვერენული გზით მოქმედების საშუალება, შედეგად მივიღეთ ეს საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელიც მივა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც კრიმინალური რეჟიმის, უკანონოდ გამოცხადების ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე. ცხადია, ამ პარტიას შეუწყდება რეგისტრაცია, ხოლო ფიგურებს, რომლებიც მონაწილეობდნენ რიგი დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში (თუნდაც - დუმდნენ), ან მედიაში ცდილობდნენ მის „გაპრავებას“, აეკრძალებათ საჯარო სივრცეში გამოჩენა. ეს, უდავოდ, დიდი ნაბიჯი იქნება პოლიტიკური ლანდშაფტის და საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისკენ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დასრულდეს, რადგან ეს არის ძალა, რომელიც ემსახურება უცხო ქვეყნის ინტერესებს.

- მოსახლეობის საკმაო ნაწილი მხარს უჭერს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. რა ნეგატიურ პროცესებს გამოიწვევს მისი აკრძალვა, კიდევ უფრო ხომ არ გაიზრდება დაპირისპირება?

-კი, ჰყავთ მხარდამჭერები, მაგრამ უკვე აღარაფრის თავი, არანაირი რესურსი აღარ გააჩნიათ. ეს არის სექტად ჩამოყალიბებული ხალხის ჯგუფი. თავად პარტია დანაწევრდა მარტივ მამრავლებად, ბელადი უზით ოთხ კედელში. დღეს უკვე გაძლიერებულია საქართველოს სახელმწიფო, სამართალდამცავი ორგანოები, პოლიცია, ფუნქციონირებენ მაღალ დონეზე, აქედან გამომდინარე, სიტუაციის გამწვავებას არ ველი. თუ ძალმომრეობაზე გადმოვლენ, მიიღებენ ფიზიკურ შენიშვნებს და ყველაფერი დამთავრდება სწრაფად.

- გიორგი გაშაძე აფრთხილებს მთავრობას, რომ თუ მოქმედ პოლიტიკოსებს დაიჭერენ, „ყველანაირი დახმარება შეწყდება, SWIFT-დან გაითიშება საქართველო და ეკონომიკა გაჩერდება. ისე დაიმტვრევენ თავს, შეიძლება ვერც მოსულიერდნენ“.

- ჯერ ერთი, ვაშაძე და „ნაცმოძრაობის“ სხვა წევრები პოლიტიკოსები კი არა, უცხო ქვეყნის აგენტები არიან, ეს უნდა გვესმოდეს კარგად. საქართველოში ოპოზიცია არ არის, მხოლოდ დასავლეთის მიერ დაფინანსებული მეხუთე კოლონაა. მეორეც, ჩვენ გვაქვს 23 მილიარდი კონსოლიდირებული საგარეო ვალი, აქედან 10 მილიარდამდე მთავრობისაა, ხოლო დანარჩენი - ბიზნესსექტორის. ასევე, საბანკო სექტორშია 25 მილიარდი უცხოური ფული. თუ SWIFT-დან გაგვთიშავენ, ვეღარ მოვემსახურებით საგარეო ვალს და ეს 50 მილიარდი ხახვივით შეგვრჩება.

- საბანკო სისტემა არ ჩამოგვეშლება?

- არა, რანაირად ჩამოიშლება, საბანკო სისტემაში დიდი კაპიტალი არის განთავსებული. მარტო საქართველოს ფიზიკური პირების დეპოზიტები შეადგენს 21 მილიარდ დოლარს. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი და თუ ბანკები სხვა კანონს არ გაჰყვებიან, ეროვნული ბანკი შევა მათთან დროებითი მართვით... რა თქმა უნდა, გამწვავებები სასურველი არ არის, მაგრამ ამათ მიერ აღწერილ კატასტროფულ შედეგებს არ ველოდებით.

- თეა წულუკიანის წინააღმდეგ აგორებულ ნეგატიურ კამპანიაზე რას იტყვით?

- ეგრეთ წოდებული ოპოზიციის მხრიდან ნებისმიერი აგრესიული ქმედება ზრდის თეა წულუკიანის რეიტინგს. ამიტომ ვთვლი, რომ ეს უმსგავსო ქცევები: სახლში მივარდნები თუ უცენზური სიტყვები მას ვერაფერს დააკლებს.

- ტარიფების იზრდება აშშ-ისგან... რა ელის მსოფლიოს და, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკას და გამოსავალია თუ არა სამხრეთ კავკასია და საერთო ბაზარი?

- ტარიფების ზრდა ჩვენ ვერ შეგვეხება, რადგან ადგილობრივი წარმოება მინიმალურ დონეზეა, არაფერს ისეთს არ ვაწარმოებთ. ამერიკაში ჩვენი ექსპორტი 100 მილიონზე ოდნავ მეტია მაშინ, როდესაც ამერიკიდან იმპორტი 2 მილიარდს აჭარბებს (ძირითადად, ეს არის ავტომობილები). თუ ოდესმე გავზრდით წარმოებას, მაშინ კი ბატონო... საერთოდ, მე მომხრე ვარ, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმები, რომელიც 16 სუბიექტთან გაქვს, თანდათან შევამციროთ. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და ამ ეტაპზე ადგილობრივი წარმოების განვითარებას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ვნებს. მიმაჩნია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანთან საერთო ბაზარი უნდა შევქმნათ. ამ სამმა სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს ზომიერი ინტეგრაციული მოდელი. ჭკვიანურად უნდა განაწილდეს, ვინ რას აწარმოებს და ერთიან, 17-მილიონიან ბაზარზე უნდა უზრუნველყონ გაყიდვები. ეს მოგვცემს ძალიან დიდ უპირატესობას. უკვე ისეთი პროდუქციის წარმოებას მიეცემა აზრი, რაც პატარა, 3-მილიონიან საქართველოს ბაზარზე დღეს არ არის რენტაბელური.

- რას გულისხმობთ შრომის დანაწილებაში?

- მაგალითად, ის ათასობით და ათიათასობით საქონელი, რაც სამივე სახელმწიფოს სჭირდება, ადგილზე აწარმოონ, ცხადია, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. ვგულისხმობ იმას, რომ ერთმანეთს უაზრო კონკურენცია არ გაუწიონ, ფასების ომი არ გააჩაღონ და ასე შემდეგ, თუმცა ყაჩაღური და მონოპოლისტური ვითარებაც არ უნდა შეიქმნას. ამ სისტემით იოლად შევძლებთ მაღალ ხელფასებზე ხალხის დასაქმებას, იმიტომ, რომ მრეწველობაში უფრო მაღალია ხელფასი და აქ შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი მომიჯნავე სფეროში ქმნის ექვს სამუშაო ადგილს. ეს არის ყველაზე სწორი გზა, მაგრამ, უნდა დავიცვათ ერთი პრინციპი - სამხრეთ კავკასიიდან ჩვენს არცერთ მეზობელს საფრთხე არ უნდა შეექმნას. გარდა ამისა, გადაწყვეტილებები ამ სამეულში უნდა ეფუძნებოდეს კონსენსუსს. ეს არის საქართველოსა და მთელი რეგიონის განვითარებისთვის ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი.

- რას ფიქრობთ 3+3-ის ფორმატში მონაწილეობაზე?

- დიალოგის უქონლობას, დიალოგი ჯობია. ვფიქრობ, არ უნდა იყოს პრობლემა აქ მონაწილეობა. ცხადია, რომ რუსეთის დელეგაციამ სათანადო დეკლარაციაში ხელმოწერით უნდა აღიაროს მონაწილე ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა. მოსკოვთან კიდევ ცალკე სასაუბრო გვაქვს, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ცხინვალის და აფხაზეთის პრობლემა. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი და უმთავრესი საკითხია, რომელიც რუსეთთან სრულმასშტაბიანი კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუძლებელს ხდის. ამ კუთხით, ხელისუფლებამ უკვე უნდა დაიწყოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. ცხადია, ჩვენ იგნორირებას ვერ გავუკეთებთ სამას ათას დევნილს, ეთნოწმენდის გამო საკუთარ სახლებში რომ ვერ ბრუნდება. რუსეთი დიდი სახელმწიფოა და მან, მინიმუმ, ჰუმანიტარული ვალდებულება მაინც უნდა აიღოს თავის თავზე, რომ უზრუნველყოს დევნილების დაბრუნება უსაფრთხოების გარანტიებით. ზოგადად, ამ საკითხების მოწესრიგება კრემლის ინტერესებშიც უნდა იყოს, რადგან ჩაკეტილი კომუნიკაციები არც მას აწყობს. ევროპამ რუსეთთან რკინის ფარდა ჩამოუშვა. თუ რუსებს უნდათ, რომ სამხრეთისკენ გასასვლელი ჰქონდეთ, ამ თემებზე უნდა იფიქრონ. აქვეა ჩინეთის ინტერესი - „ერთი გზა - ერთი სარტყელი“, რომელიც, ასევე, მოითხოვს ყველა კომუნიკაციის გახსნას... და ემატება ინდოეთი-ირანის ინტერესი, რომელსაც სურს, რომ უფრო ჩრდილოეთისკენ წამოვიდეს სავაჭრო დიდი მაგისტრალი. საქართველო ამ ყველაფრის კვანძი ხდება, შესაბამისად, გადაკეტილი გზები უნდა გაიხსნას.

- მთელ ამ სიტუაციაში რა როლი რჩება ევროპას?

- იცით რა, საქართველოს ევროკავშირში მიღება თავიდანვე იყო ევროკომისრების დიდი აფიორა და ტყუილი. პრინციპში, ჩვენ ეს ვიცოდით, მაგრამ არ გვქონდა სხვა გამოსავალი რუსეთთან პრობლემური ურთიერთობების გამო. ჩრდილოეთთან დაძაბულობა, ცხადია, დღესაც გრძელდება, მაგრამ იმის დაჯერება, რომ ევროკავშირი ოდესმე მიგვიღებს, უკვე დესტრუქციული ხდება ჩვენი ქვეყნისთვის. როგორც ხედავთ, ახალგაზრდებს მართლა სჯერათ ამ სატყუარის, რითაც დასავლეთი გვაიძულებს, ვიმოქმედოთ მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

- მაინც რა ინტერესებზეა საუბარი?

- ევროკაპიტალი ზემოგებებს იღებს საქართველოში. თანაც, აქედან მიჰყავთ იაფი მუშახელი და მესამედ ფასში ამუშავებენ. ჯამში, ყოველ წელს ევროპა ათი მილიარდი დოლარის სარგებელს იღებს საქართველოდან. ეს არის ევროპის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რისი გაგრძელებაც აღარ შეიძლება.

> *„ათასობით და ათიათასობით საქონელი, რაც სამივე სახელმწიფოს სჭირდება, ადგილზე აწარმოონ, ცხადია, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. ვგულისხმობ იმას, რომ ერთმანეთს უაზრო კონკურენცია არ გაუწიონ, ფასების ომი არ გააჩაღონ და ასე შემდეგ, თუმცა ყაჩაღური და მონოპოლისტური ვითარებაც არ უნდა შეიქმნას. ამ სისტემით იოლად შევძლებთ მაღალ ხელფასებზე ხალხის დასაქმებას*

ირმა ცეცხლაძე

ბექა დიასამიძე ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, თუ...

ექსპერტთა აზრით, დღესდღეობით საქართველო როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას: დაპირისპირება მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის, აქციები, მოსახლეობის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, რასაც ემატება ისიც, რომ ოპოზიცია არ აღიარებს არსებულ ხელისუფლებას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. თავის მხრივ, მმართველი პარტია აცხადებს, რომ არჩევნები სანიმუშოდ ჩატარდა. მათივე თქმით, მიტინგების მუხტმა იკლო... დრო გადის, მმართველი პარტია თვითმმართველობის არჩევნებისთვის ემზადება, რომელიც წლის მიწურულს გაიმართება. ანალიტიკოსთა თქმით, ოპოზიცია ამ მიმართებით უნდა გააქტიურდეს, რათა მოსახლეობამ ხელისუფლების ალტერნატიული ძალა იგრძნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მმართველი პარტია შეძლებს ოპოზიციის განეიტრალებას

ფაქტია, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საყურადღებო მოვლენები ვითარდება. სწორედ ამის თაობაზე გვესაუბრება „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ***ბექა დიასამიძე.***

- როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს? საუბარი მმართველ გუნდში განხორციელებული საკადრო ცვლილებებით დავიწყოთ...

- რუსთაველზე 130 დღეზე მეტია, უწყვეტი აქციები იმართება, რომლის მონაწილეებიც პოლიტპატიმრების განთავისუფლებასა და ხელახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ. ვერც ერთი პოლიტიკური ძალა, თუ „ქართულ ოცნებას“ შეიძლება ასე ვუწოდოთ, მშვიდად ვერ უყურებს ამდენი გულანთებული, პატრიოტი ადამიანის პროტესტს ამდენი ხნის განმავლობაში, თან იმ პირობებში, რომ იციან, სიმართლე მათკენ კი არა, ამ ხალხის მხარესაა. ბუნებრივია, ხელისუფლებას ნერვები ღალატობს და ეს ასეც უნდა იყოს. ახლა მიდის შიდა დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, „ალქაჯებზე ნადირობა“, ანუ მათზე, ვისი მიზეზით ხდება ის, რომ ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ხალხი ვერ დაშალეს და საპროტესტო მუხტი ვერ ჩააქრეს.

- გასაგებია, რომ ოპოზიცია მმართველი პარტიის შიდა განხეთქილებაზე საუბრობს, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „ქართული ოცნება“ ერთიანია, როგორც არასდროს და ოპოზიციის შეფასებები ამ მხრივ უსაფუძვლოა...

- დაპირისპირება, როგორც ვთქვი, არსებობს, მაგრამ, ბუნებრივია, ამას თავად არ აღიარებენ. უფრო ზუსტად, ჯერჯერობით არ აღიარებენ, რადგან კვლავ ხელისუფლების სადავეებთან არიან და ფიქრობენ, რომ ხალხის პროტესტს როგორღაც მაინც გადააგორებენ. უბრალოდ, ვერ ხვდებიან, რომ ხალხის უკმაყოფილება დღეს არ დაწყებულა, შესაბამისად, არც ხვალ დამთავრდება და ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

- არანაკლები დისკუსია გამოიწვია საპარლამენტო კომისიის სხდომებმა. რას ფიქრობთ?

- „ქართული ოცნება“ ყველანაირად ცდილობს, ყურადღება რუსთაველზე პროტესტიდან არალეგიტიმური პარლამენტის უკანონო სხდომებზე გადაიტანოს. მსგავსი ქმედებები არახალია ქოცებისგან. ისინი მთელი 12 წელი - „რა, ომი გინდათ?“, ამ ნარატივით კვებავდნენ თავის ელექტორატს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უკვე კარგად ხვდება, რომ რაიმე ფორმით ქვეყანაში მშვიდობის გარანტორები ისინი ვერ იქნებიან. პირიქით, თუ ხელისუფლებაში დარჩენისთვის დასჭირდებათ, ომს საკუთარ ხალხს თავად გამოუცხადებენ და ამისთვის რუსული ჯარის შემოყვანა სრულებით არ იქნება საჭირო. პრინციპში, რომ დააკვირდეთ, რასაც პოლიციელები დღეს თბილისში, რუსთაველზე, ბათუმსა და მთელ საქართველოში აკეთებენ, განა ეს უკვე საკუთარ ხალხთან ბრძოლა არ არის?!

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ისინი საქართველოს არ ადანაშაულებენ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, არამედ იძიებენ მაშინდელი ჩინოვნიკების საქმიანობას ომის პერიოდში.

- ყველა ნორმალურ ქვეყანაში უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ გადადგმული ნაბიჯები მიიღება და ფორმდება როგორც სახელმწიფოს გადაწყვეტილებები. პასუხისმგებლობაც, რომელიც ახლავს ამ პროცესებს, საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს ეკისრება და არა კერძო პირებს. ასე, მაგალითად, მართალია, არ მოგვწონს ეს თვითმარქვია ხელისუფლება, მაგრამ მის მიერ დღეს საერთაშორისო ასპარეზზე ყველა მხრიდან გაფუჭებული ურთიერთობების გამო, ხვალ ქართველი დიპლომატების ახალგაზრდა თაობამ უნდა აგოს პასუხი და ნეგატიური შედეგების გამოსწორებაზე იზრუნოს. არადა, ქოცების მავნებლობისა და უვიცობის გამო მომავალ თაობებს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდებათ ზიანის გამოსასწორებლად.

- მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს „ნაცმოძრაობის“ და მასთან აფილირებული პარტიების აკრძალვის თაობაზე...

- არ არსებობს ფსკერი, რომელსაც „ქართული ოცნება“ ძალაუფლების შენარჩუნების პროცესში არ გახვრეტს. თუ შესაძლებლობა მიეცემათ, ოპოზიციურად განწყობილ ყველა პარტიას და მედიასაშუალებას დახურავენ ისე, რომ წარბიც არ შეუტოკდებათ. უბრალოდ, ამის საშუალება არ უნდა მივცეთ და ყველა ერთად დავდგეთ - პარტიებიც, არასამთავრობო ორგანიზაციებიცა და სამოქალაქო საზოგადოებაც.

- რას იტყვით ბოლოდროინდელი კანონების შესახებ, რომლებიც პარლამენტმა ამას წინათ მიიღო?

- როგორც აღვნიშნე, თვითმარქვია ხელისუფლება ცდილობს, ნებისმიერი კრიტიკული აზრი გააჩუმოს, ამისთვის ყველა მეთოდს მიმართავს. მათ შორისაა ისეთი ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოს ნაციონალურ ინტერესებს. ყველა ეს კანონი, რომელიც უკანონო პარლამენტს აქვს მიღებული, ჩვენი მხრიდან, პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუქმდება და ჩვენი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდება დემოკრატიული განვითარების გზას.

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ქვეყნის საკეთილდღეოდ ხორციელდება.

- როგორ შეიძლება რაიმე ქმედება, რაც პირდაპირ აზიანებს საქართველოს დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებს ან, უფრო მეტიც, იზიარებს საქართველოს ისტორიული მტრის - რუსეთის ინტერესებს, ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი იყოს?! გასული საუკუნის 90-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმისთვის არ დაუწყია ქართველ ხალხს, რომ მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილი, როგორც დიქტატორი, ჩვენი სამშობლოს „ბატონ-პატრონი“ გამხდარიყო.

- მეოთხე თვეა, მიმდინარეობს აქციები დედაქალაქში. პროტესტის მუხტმა ხომ არ იკლო?

- შეიძლება საქართველოს ქალაქებში პროტესტი ყოველდღიურად მრავალრიცხოვანი არ იყოს, ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ გულისწყრომა მოსახლეობის საღად მოაზროვნე ნაწილში არ განელებულა. ეს რომ ასე არ იყოს, თვითმარქვია ხელისუფლების პოლიციას ძალადობა არ დასჭირდებოდა, ხოლო პარლამენტს - უკანონო გადაწყვეტილებების მიღება.

- ვხედავთ, რომ ოპოზიცია ერთმანეთს დაერია, მაგალითად, „ნაცმოძრაობა“ სალომე ზურაბიშვილს და გახარიას პარტიას უპირისპირდება, ასევე „გირჩი - მეტი თავისუფლება“ რამდენიმე პოლიტიკოსმა დატოვა...

- ქართული საზოგადოება რეჟიმს ებრძვის მშვიდობიანი პროტესტის ფორმებით, ეს დროში გაწელილი პროცესია. 4 თვეზე მეტია, ქართული საზოგადოება ქუჩაში დგას და, ბუნებრივია, პარალელურ რეჟიმში ჩნდება ძალიან ბევრი ზოგადი ხასიათის კითხვა: რამდენად ეფექტურია ბრძოლის არჩეული მეთოდები? რა წინსვლა გვაქვს? როგორია ამა თუ იმ აქტორის როლი პროცესებში? რა სიახლე უნდა შევიტანოთ ჩვენს აქტიურობაში და როგორ, რა ფორმებით?.. ბუნებრივია, მსგავსი კითხვები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ლოგიკურია, ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის უფლება. ნათქვამია, აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება. შეიძლება ბრძოლის ფორმებზე ვკამათობდეთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველა ერთ რამეზე ვთანხმდებით - ეს ხელისუფლება სახლში გასაშვებია.

- სხვათა შორის, 31 მარტს გამართულმა აქციამაც აჩვენა, რომ ოპოზიცია დაქსაქსულია. ითქვა, რომ უნდა შეიქმნას ახალი პლატფორმა.

- ახალი პლატფორმის შექმნა თუ ნებისმიერი სხვა ფორმის გაერთიანება ნამდვილად საჭიროა. ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს. ამის თაობაზე მუდმივად საუბრობს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი ბატონი გიორგი ვაშაძე. მოსაძებნია თანამშრომლობის ისეთი მოდელი, რომელიც სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიებს გააერთიანებს. როგორც ჩანს, მხოლოდ პროდასავლურ კურსში თანხვედრა არ არის საკმარისი. საჭიროა, შეხების სხვა წერტილები გამოიკვეთოს პარტიებს შორის და თან რაც შეიძლება მალე.

- როგორც ცნობილია, ოქტომბერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია დანიშნული. ამ მხრივ ოპოზიციის სტრატეგიაზე რას გვეტყვით?

- ოპოზიციის ხედვა ის არის, რომ თუ არ დაკმაყოფილდა ორი ძირითადი მოთხოვნა - პოლიტპატიმრების უპირობო განთავისუფლება და პარლამენტის ხელახალი არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ.

- თქვენი თვალთახედვით, „მეგობარი აქტის“ ფაქტორი რა ცვლილებებს მოუტანს საქართველოს?

- აქტის მიღება ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, კორუფციის შემცირებას და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. რაც მთავარია, დაასანქციირებს რეჟიმის მთავრობის წარმომადგენლებს და ქართველი ხალხის ბრძოლას მჩაგვრელი ხელისუფლების წინააღმდეგ მხარს დაუჭერს.

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის წარმომადგენლები იმასაც აღნიშნავენ, რომ აშშ-ის ახლანდელი ადმინისტრაცია და კოლექტიური დასავლეთი „დიფ სთეითთან“ ბრძოლაში დამარცხდნენ და საქართველო არ ჩაერთვება ზესახელმწიფოთა თამაშებში.

- კარგად გვახსოვს, დონალდ ტრამპის ინაუგურაციამდე „ქართული ოცნების“ რიტორიკა რადიკალურად სხვა იყო. მოხდა ის, რასაც ვპროგნოზირებდით - თვითმარქვია ხელისუფლებამ საერთო ენა ვერ გამონახა ტრამპის ახალ ადმინისტრაციასთან. შესაბამისად, თავის მართლებისთვის სხვა შანსი არ დარჩათ გარდა ერთისა - ამტკიცონ, თითქოს მთელი მსოფლიო მოწადინებულია, საქართველო ჩაითრიოს დიდ ომში და მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობაა.

- დაბოლოს, რას იტყვით აშშ-ის შუამავლობაზე რუსეთ-უკრაინის ომის დასრულებისთვის? ამ პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

- დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას (მისივე განცხადებებიდან გამომდინარე) არ აქვს ინტერესი, დაიცვას უკრაინისა და ევროპის უსაფრთხოება. ეს ამ უკანასკნელთა, და არა აშშ-ის, მთავარი ამოცანა უნდა იყოს. თეთრი სახლის ინტერესის სფეროს ჩინეთი, მისგან მომდინარე საფრთხე წარმოადგენს. ამიტომ უკრაინის თემა იმდენად საყურადღებოა, რამდენადაც ტრამპს სურს, კრემლი ოფიციალურ პეკინს ჩამოაშოროს. მოლაპარაკების პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა. იგივე ბედი ეწევა შემდგომ რაუნდებსაც, თუ თეთრი სახლი უფრო მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს ოფიციალურ მოსკოვთან მიმართებაში. პუტინს ხელს არ აძლევს ომის დასრულება, შესაბამისად, თუ მშვიდობის დამყარება მხოლოდ მის ნებაზე იქნება დამოკიდებული, მოლაპარაკების პროცესი უსასრულოდ გაიწელება და შესაძლოა, მერე უკვე თეთრმა სახლმა თქვას უარი შუამავლის როლზე.

ლაშა ხომერიკი

> *„ახალი პლატფორმის შექმნა თუ ნებისმიერი სხვა ფორმის გაერთიანება ნამდვილად საჭიროა. ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს. ამის თაობაზე მუდმივად საუბრობს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი ბატონი გიორგი ვაშაძე. მოსაძებნია თანამშრომლობის ისეთი მოდელი, რომელიც სხვადასხვა იდეოლოგიის პარტიებს გააერთიანებს. როგორც ჩანს, მხოლოდ პროდასავლურ კურსში თანხვედრა არ არის საკმარისი*

ქობულეთში ორი მრავალბინიანი სოციალური სახლი შენდება

ქობულეთში, პოპოვის ქუჩის №12-ში ორ მრავალბინიან სოციალურ სახლს შპს „ფორუმ კონტრაქტს ლიმიტედის“ საქართველოს ფილიალი აშენებს. მშენებლობისთვის 23 მილიონი ლარია გათვალისწინებული. სოციალური სახლები ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, მოეწყობა მწვანე ზოლი, ბავშვთა გასართობი ზონა და გარე განათებები

ქობულეთის მერ ლევან ზოიძის განცხადებით, სოციალურ სახლებში ბინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული ეკომიგრანტები მიიღებენ.

- სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, შენდება ორი ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, სადაც ჩვენს მოქალაქეებს, ეკომიგრანტებს, გადაეცემათ გარემონტებული ბინები, მოწესრიგდება ეზო, გაკეთდება სკვერი. მუნიციპალიტეტში ყველა ეკომიგრანტი დაკმაყოფილდება ბინით. ხელშეკრულება არის სამწლიანი, მაგრამ ასეთი ტემპებით პროექტი 2026 წელს დასრულდება, - განაცხადა ლევან ზოიძემ.

შპს „ფორუმ კონტრაქტს ლიმიტედის“ წარმომადგენლის ფარნავაზ გიორგაძის განცხადებით, მშენებლობაზე დასაქმებულია 12 ადამიანი. ამ ეტაპზე კორპუსების ხიმინჯების მოწყობა მიმდინარეობს.

ადნან ალთაი ალთინორსი: როდესაც ჩვენგან ელოდებიან მხარდაჭერას, ყოველთვის მზად ვართ ამისთვის

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოს ბათუმში ექვსი თვეა, ახალი კონსული ჰყავს. ***ადნან ალთაი ალთინორსმა*** *ამ თანამდებობაზე რიზა ქაღანილმაზი ჩაანაცვლა. ბატონ კონსულს დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში თითქმის 27-წლიანი გამოცდილება აქვს. მას მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილებები, წყალი, ენერგეტიკა, ადამიანთა დასახლებები, მდგრადი განვითარება, გაეროსა და ევროკავშირის საკითხები, ზოგადი სამშენებლო ინჟინერია, სითხის მექანიკა, ჰიდროლოგია, წყლის მენეჯმენტი და ა.შ. ვფიქრობთ, დიპლომატთან ინტერვიუ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.*

- წლებია, თურქეთი საქართველოს მთავარ ეკონომიკურ პარტნიორად მოიაზრება, დღევანდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?

- ორი ახლო მეზობელი და მეგობარი ქვეყნისთვის სტაბილურობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ჩვენთვის პრიორიტეტულია ამ ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება. ეკონომიკურ პარტნიორობას რაც შეეხება, დღესაც იგივე მდგომარეობა გვაქვს. შეიძლება ითქვას, ინტერესი საქართველოს მიმართ დიდია. ჩვენი ამოცანაა 3,2 მილიარდი აშშ დოლარის სავაჭრო მოცულობის 5 აშშ მილიარდ დოლარამდე გაზრდა. თანამშრომლობის გაღრმავებისთვის შრომა და ძალისხმევაა საჭირო. გვყავს როგორც არსებული, ასევე, ახალი თურქული ინვესტიციის ჩადების მსურველი პირები და კომპანიები. ამასთან, მინდა აღვნიშნო ისიც, რომ საგრძნობლადაა გაზრდილი კონკურენცია და ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ ამ ტემპებს.

- ჩვენი ქვეყნები ტურიზმის სფეროშიც აქტიურად თანამშრომლობენ. როგორ ფიქრობთ, არსებული შიდაარეულობა ხომ არ მოახდენს გავლენას ტურიზმზე?

- შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში საოჯახოდ ბათუმი გამორჩეულად მიმზიდველი ქალაქია, რომელსაც ბევრი საინტერესო შესაძლებლობის შეთავაზება შეუძლია დამსვენებლებისთვის. წინასაახალწლო პერიოდსა და ბაირამის დღეებს თუ გადავხედავთ, თურქეთიდან ვიზიტიორთა რიცხვი მზარდია, ბევრს სურს ბათუმის მონახულება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ტურისტული ნაკადი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. სასაზღვრო გამტარ პუნქტებსაც ბევრი იყენებს სამოგზაუროდ. რიგები განსაკუთრებით დასვენების დღეებში და დღესასწაულებზე შეინიშნება. მაქვს ინფორმაცია, რომ თურქეთის ავიახაზები ბათუმში რეისების დამატებას აპირებს, რაც ტურისტების რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის.

- თქვენს განვლილ გზაზეც გვიამბეთ...

- დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, დაახლოებით, 27-წლიანი გამოცდილება მაქვს. ჩემი სპეციალობა, ძირითადად, გარემოს დაცვაზე, კლიმატის ცვლილებებზე, წყალსა და ენერგეტიკაზე, ადამიანთა დასახლებებზე, მდგრადი განვითარების საკითხებზე იყო ფოკუსირებული. გამოცდილება დამიგროვდა გაეროს და ევროკავშირის საკითხებში, ასევე, ზოგად სამშენებლო ინჟინერიაში, ჰიდროლოგიაში, წყლის, წყლისა და სანაპირო ნაგებობების სპეციალიზაციის მიმართულებით და ა.შ. 2018-2021 წლებში ინდოეთში, ჰაიდერაბადის გენერალური კონსული ვიყავი. სხვადასხვა პერიოდში ვმუშაობდი ანკარაში, ბრიუსელში ევროკავშირის თურქული წარმომადგენლობის მისიაში ვიყავი ჩართული ზედიზედ ორჯერ, გაერთიანებული ერების თურქულ წარმომადგენლობაში ვიმუშავე. 2024 წლის ოქტომბრიდან საქართველოში, ბათუმში თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულო ჩვენთვის განსაკუთრებულია და შესაბამისად, ძალიან შინაურად ვგრძნობთ აქ თავს. ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ დავრწმუნდი, თუ როგორი ინტეგრირებულია ორი ქვეყანა ერთმანეთთან, აქედან გამომდინარე, შეგუების ან შეჩვევის პროცესში სირთულე არ მქონია.

> ***„თურქეთიდან ვიზიტიორთა რიცხვი მზარდია, ბევრს სურს ბათუმის მონახულება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ტურისტული ნაკადი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. სასაზღვრო გამტარ პუნქტებსაც ბევრი იყენებს სამოგზაუროდ. რიგები განსაკუთრებით დასვენების დღეებში და დღესასწაულებზე შეინიშნება. მაქვს ინფორმაცია, რომ თურქეთის ავიახაზები ბათუმში რეისების დამატებას აპირებს, რაც ტურისტების რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის***

- რა მიმართულებით გეგმავთ, შეიტანოთ წვლილი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავებაში? თქვენი სამომავლო პროექტები...

- კულტურის, ტურიზმის, სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო მიმართულებით ორ ქვეყანას შორის საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობაა. ვფიქრობ, კულტურის სფეროში უფრო მეტი წვლილი შევიტანო. ჩვენ გვაკავშირებს ძალიან მჭიდრო ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები. ვიცი, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნებას ჩვენს ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით ერთობლივი პროექტების განხორციელება კარგი იქნება ამ ურთიერთობების გასაღრმავებლად, რის შესაძლებლობაც გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, ტურიზმის, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე ვიმუშავებთ. ეს სფეროები საზოგადოებას აერთიანებს. კარგი იქნება სამეცნიერო კონფერენციებში თურქი აკადემიკოსების ჩართვა. საქართველოში თურქი მხატვრების გამოფენების მოწყობა ხელს შეუწყობს ორი მხარის დაახლოებას და ეს მიმართულებებიც იქნება მხარდაჭერილი. ინვესტიციების საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანია. უფრო მეტი ინვესტიცია უნდა მოვიზიდოთ თურქეთიდან.

- ძირითადად, რა პრობლემების მოგვარება მოგიწიათ ამ პერიოდში და რა საკითხებზე მოგმართავენ?

- მართალი გითხრათ, დღემდე სერიოზულ პრობლემებთან არ გვქონია შეხება. იმდენად მჭიდრო, კეთილმეზობლური ურთიერთობაა ჩვენს ქვეყნებს შორის, რომ წვრილმანი საკითხების გარდა, არანაირი პრობლემის წინაშე არ დავმდგარვართ. მოქალაქეები, ძირითადად, სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე შექმნილი სირთულეების გამო მოგვმართავენ. ასე რომ, ძალიან დიდი და სერიოზული საკითხების წინაშე არ დავმდგარვართ. ვისარგებლებ შემთხვევით და ადგილობრივ შესაბამის უწყებებსაც მადლობას გადავუხდი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

- როგორია დიპლომატის ერთი დღე ბათუმში?

- უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ბათუმი ძალიან თბილად დამხვდა. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად, ხშირია საინტერესო შეხვედრები. საღამოს მეგობრებთან ვატარებ, თუმცა იმდენად დატვირთული იყო ეს პერიოდი, რომ ზოგჯერ სახლიც კი მომნატრებია. სწორედ ეს არის ჩვენი საქმე - დატვირთული ურთიერთობები და მეტი კომუნიკაცია.

- თქვენი შთაბეჭდილებები - ბათუმსა და საქართველოზე...

- შესრულდა ექვსი თვე, რაც ამ ლამაზ ქალაქში ჩამოვედი. თავი უცხოდ ნამდვილად არ მიგრძნია. ჩვენს ქვეყნებს ახლომეზობლური ურთიერთობები აკავშირებს. საქართველო ჩვენთვის განსაკუთრებულია და შესაბამისად, ძალიან შინაურად ვგრძნობთ აქ თავს. ბათუმში ჩამოსვლის შემდეგ დავრწმუნდი, თუ როგორი ინტეგრირებულია ორი ქვეყანა ერთმანეთთან, აქედან გამომდინარე, შეგუების ან შეჩვევის პროცესში სირთულე არ მქონია.

- რა მიმართულებით გეგმავთ, შეიტანოთ წვლილი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავებაში? თქვენი სამომავლო პროექტები...

- კულტურის, ტურიზმის, სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო მიმართულებით ორ ქვეყანას შორის საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობაა. ვფიქრობ, კულტურის სფეროში უფრო მეტი წვლილი შევიტანო. ჩვენ გვაკავშირებს ძალიან მჭიდრო ისტორიულ-კულტურული ურთიერთობები. ვიცი, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნებას ჩვენს ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით ერთობლივი პროექტების განხორციელება კარგი იქნება ამ ურთიერთობების გასაღრმავებლად, რის შესაძლებლობაც გაგვაჩნია. რა თქმა უნდა, ტურიზმის, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე ვიმუშავებთ. ეს სფეროები საზოგადოებას აერთიანებს. კარგი იქნება სამეცნიერო კონფერენციებში თურქი აკადემიკოსების ჩართვა. საქართველოში თურქი მხატვრების გამოფენების მოწყობა ხელს შეუწყობს ორი მხარის დაახლოებას და ეს მიმართულებებიც იქნება მხარდაჭერილი. ინვესტიციების საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანია. უფრო მეტი ინვესტიცია უნდა მოვიზიდოთ თურქეთიდან.

- ძირითადად, რა პრობლემების მოგვარება მოგიწიათ ამ პერიოდში და რა საკითხებზე მოგმართავენ?

- მართალი გითხრათ, დღემდე სერიოზულ პრობლემებთან არ გვქონია შეხება. იმდენად მჭიდრო, კეთილმეზობლური ურთიერთობაა ჩვენს ქვეყნებს შორის, რომ წვრილმანი საკითხების გარდა, არანაირი პრობლემის წინაშე არ დავმდგარვართ. მოქალაქეები, ძირითადად, სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე შექმნილი სირთულეების გამო მოგვმართავენ. ასე რომ, ძალიან დიდი და სერიოზული საკითხების წინაშე არ დავმდგარვართ. ვისარგებლებ შემთხვევით და ადგილობრივ შესაბამის უწყებებსაც მადლობას გადავუხდი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

- როგორია დიპლომატის ერთი დღე ბათუმში?

- უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ბათუმი ძალიან თბილად დამხვდა. ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად, ხშირია საინტერესო შეხვედრები. საღამოს მეგობრებთან ვატარებ, თუმცა იმდენად დატვირთული იყო ეს პერიოდი, რომ ზოგჯერ სახლიც კი მომნატრებია. სწორედ ეს არის ჩვენი საქმე - დატვირთული ურთიერთობები და მეტი კომუნიკაცია.

- თქვით, რომ სახლიც მოგნატრებიათ. თქვენი ოჯახი...

- ჩემი მეუღლე ქუბრა, ქალიშვილ ზეინაბთან ერთად, რომელიც წელს ლიცეუმს ამთავრებს, ამჟამად ანკარაშია. მან იურისტობა აირჩია მომავალ პროფესიად. ვიმედოვნებ, მეუღლე მალე ჩამოვა ბათუმში. ორივეს ძალიან მოეწონა ეს ქალაქი, შეიყვარეს. აქ ჩამოსვლამდე ინდოეთში, კერძოდ, ჰაიდარაბადში ვცხოვრობდით, სადაც ვმუშაობდი. ჩემი ოჯახი, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული კულტურა აქვთ, ძალიან ადვილად შეეგუა იმ გარემოს, შესანიშნავად აუწყო ფეხი იქაური ცხოვრების რიტმს. ქალაქმაც ძალიან თბილად მიიღო ჩემი მეუღლე, საუკეთესო ჰაიდარაბადელი ხარო, ეუბნებოდნენ კომპლიმენტად, რაც ძალიან ახარებდა. მისი სურვილია, ასეთივე სახელი და პატივისცემა მოიპოვოს თქვენს რეგიონში.

- უაღრესად დაძაბული ვითარებაა მთელ მსოფლიოში. მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია, რაშიც დიპლომატებს უდიდესი წვლილი შეგაქვთ. რა მესიჯს გაუგზავნით დანარჩენ მსოფლიოს მშვიდობის შესანარჩუნებლად?

- მშვიდობის შენარჩუნება ბოლო წლებში სულ უფრო გართულდა, სტაბილურობა, უმეტესწილად, საფრთხის ქვეშაა. დიპლომატია მართლაც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის შესანარჩუნებლად. ეს არის პრობლემების მოლაპარაკებების გზით გადაჭრა. კონფლიქტებისთვის თავის არიდება და მშვიდობის წახალისებაა მთავარი. სამწუხაროდ, რაც უფრო იძაბება ურთიერთობები, მით უფრო მეტი დიპლომატიური ძალისხმევაა საჭირო. ჩვენმა ეროვნულმა ლიდერმა ათათურქმა თქვა: მშვიდობა - შინ, მშვიდობა - მსოფლიოში. ჩვენ ყოველთვის ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ როგორც რეგიონში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. როდესაც ჩვენგან ელოდებიან მხარდაჭერას, ყოველთვის მზად ვართ ამისთვის.

- რაიმეს თქმას ხომ არ ისურვებდით?

- საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა. ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო უკეთესად იქნება ყველაფერი ერთობლივი ძალისხმევით, მეზობლური ურთიერთობებით. საბჭოთა კავშირის დაშლის, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როგორც ვიცი, საქართველო ძალიან განვითარდა, რაც პირადად მე ძალიან მახარებს. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, უფრო ახლოს გავცნობოდი ამ ქვეყანას. ვიმედოვნებ, აქ მუშაობის პერიოდში უფრო მეტს გავიგებ თქვენს ქვეყანასა და ხალხზე.

„დედაენის სიყვარული ყველა ქართველის სულშია გამჯდარი“

სახალხო მთქმელი ***დიმიტრი ბერიძე*** *შუახევის რაიონის სოფელ ლომანაურიდანაა. მან წლების განმავლობაში პოლიციის ორგანოებში იმსახურა. პენსიაზე გასვლის შემდეგ, საცხოვრისი გურიაში მოიწყო. 90 წელს მიტანებულმა ლექსების კრებულის სამი წიგნი გამოსცა და მეოთხეზე მუშაობს. ამ დღეებში დიმიტრი შუახევში გამართულ პოეზიის საღამოზე საზოგადოების წინაშე წარსდგა.*



ჩემი მამულის ფესვებზე
და ნუღარ ვილაპარაკებ -
ტკივილით ნათქვამ ლექსებზე!

- ბატონო დიმიტრი, რა ადგილს იჭერს თქვენს შემოქმედებაში ლომანაური?

- ლომანაური ჩემი ადგილის დედაა. იქ ვეზიარე ცხოვრების ავკარგს. აქედან იწყება ჩემეული წუთისოფლის ლაბირინთები, სადაც უკვე მეცხრე ათეული წელია ვმოგზაურობ. სიზმარშიც სულ იქ ვარ, სადაც დაირწა აკვანი ჩემი. სხვანაირად მიმზიდველია მშობლიური მიწა, დედის კალთასავით შეუცვლელი და შეურყვნელი.

- გურული იუმორი და აჭარული ხუმრობები რამდენად აისახება თქვენს შემოქმედებაში?

- გურიაც იმ დოზით შემოვიდა ჩემს ხასიათში, რომ უკვე ორგანული გახდა. შესაბამისად, აჭარელ კაცს იდეალურად გამომდის გურული, მწარე იუმორით გაჯერებული ლექსები.

- ორივე კუთხეში სოფლები ცარიელდება. ამ ტკივილს კიდეც ეხმიანებით ლექსებით...

- მე სხვაგან რატომ მიბიძგებ
შენთან დარჩენა მსურს,
არც სხვისი რამე მიტაცებს
და არც სიმდიდრე მშურს.
ხელაღებული ყოველდღე,
სულ ვევედრები ღმერთს,
სხვას ათი რაღაც მიეცი,
მე დაგჯერდები ერთს.
ოღონდაც შინ დამარჩინე,

- ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ხიფათს არსად ვიქმნიდი, არც მილიციელობის დროს. მუზა ისეთი რამაა, ჯოჯოხეთშიც რომ იყო, იქაც დაგაწერინებს ლექსს. თუ სულში შეგიძვრა, მღრღნელი ჭიასავითაა, სანამ არ ამოგწოვს შენში არსებულ შემოქმედებით ნიჭს, თავს არ დაგანებებს.

- დამნაშავის დასჯას ანიჭებდი უპირატესობას თუ...

- დასჯა არასდროს მგვრის შვებას, ჩემი აზრით, სწორი მაინც დამნაშავის „საამქვეყნოდ“ მობრუნებაა. შესაბამისად, მისი გამოსწორება და ამაში ხელის შეწყობა, ჩემი მიზანი გახლდათ. მრავალსაც დავხმარებივარ.

- მანკიერების მხილება თქვენი შემოქმედების ამოსავალი წერტილია. რამდენად გიწონებენ ასეთი ჟანრის ლექსებს?

- ლექსებს მოსაწონებლად არ ვწერ. ავტორი საკუთარ სინდისთან უნდა იყოს მართალი. თუ შენს ქვეყანას არ ულხინს, ვერც ლექსში იქნები მხიარული. შენი მოვალეობაც ისაა, თქვა ის საწუხარი, რაც შენს ერს სტკივა.

- რა პოზიცია გეჭირათ 1978 წლის 14 აპრილს, როცა მოწინავე ქართველი საზოგადოება დედაენის დასაცავად საპროტესტო მიტინგს მართავდა?

- დედაენის სიყვარული ყველა ქართველის სულშია გამჯდარი და არც მე ვიყავი გამონაკლისი, თუმცა ჩემი იმდროინდელი სტატუსიდან გამომდინარე, მიტინგებს ვერ შევუერთდი. თუ დადგებოდა კრიტიკული მომენტი, რა თქმა უნდა მეც ჩემი ხალხის გვერდით დავდგებოდი.

- დედაენის დაცვას რომელი ლექსი მიუძღვენით?

- ეცადეს და ვერ ამოგვჭრეს
დედაენა ქართული,
ამიტომაც ქართველები
სულ ვართ წელგამართული!

- ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, დედაენის დაცვა, ეროვნული ადათწესების პატივისცემა - ეს თემა მრავალ ლექსში გაქვთ გაჟღერებული. ძლიერ ხელსაც ნატრობთ. ვინ გყავთ მხედველობაში?

- ერთგან სტალინი ვახსენე და შევატყვე, ახალგაზრდებს ეწყინათ. კარგი, არ გვინდა სტალინი, მაგრამ რაღაც ზომები უნდა მიიღოს ზემდგომმა ორგანოებმა, ამ ყველაფრის შესანარჩუნებლად, რათა უცხომ და უცხოურმა არ წაგვლეკოს.

- პოეტმა ნანა შაინიძემ ითავა თქვენი კრებულების რედაქტორობა და ლექსების კრებულები სამზეოზე გამოვიდა...

- ნანას ჰყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე (ცხონდეს) გია ქურიძე. თავად უკარგესი ავტორი და ხელოვანი, რომელმაც ნანასთან ერთად, მაიძულა გამებედა ჩემი ლექსების სამზეოზე გამოტანა. მადლობა გიას სპეტაკ სულს და ჩემს ნანას. მე კი ჩემის მხრივ, ვცდილობ, გავამართლო ის სტატუსი, რაც მათთან მაკავშირებს, მამობილი ვარ.

- მშობლიური შუახეველების წინაშე წარსდექით პოეზიის საღამოზე. რა შთაბეჭდილებები გამოგყვათ?

- ამასაც ნანას ვუმადლი და შემდეგ, რა თქმა უნდა, ბატონ ვახტანგ გოგრაჭაძეს, რომ ყველაზე ლამაზი წუთები მაჩუქა ჩემმა შუახევმა. თითქოს თავიდან დავიბადე. ცრემლებამდე მიმიყვანა ემოციებმა. მადლობა რაიონის ხელმძღვანელობას სათანადო მასპინძლობისთვის, მადლობა ჩემს შუახეველებს სითბოსა და სიყვარულისთვის. და მადლობა შენ, ოქრო კაცო, რომ არ დაგავიწყდა დანაპირები - ინტერვიუს ჩავიწერ შენთანო.

- საღამოზე სამი თაობის შუახეველები კითხულობდით ლექსებს. ახალგაზრდების შემოქმედებას როგორ შეაფასებთ?

- ძალიან კარგი, აზრიანი თაობა მოდის პოეზიაში, ლექსის განსხვავებული წყობით, რითმით.

მივესალმები ყველა შემოქმედს და ვეტყვი: წერეთ ბაბუა, ნუ მოგერიდებათ თქვენი განცდების გადმოცემა. ღმერთმა ნიჭი მოგმადლათ ამისთვის და მაქსიმალურად გამოიყენეთ ეს შანსი. წერეთ სამშობლოზე, დედაენაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე და იმ ღირებულებებზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქართველი კაცისთვის.

ტკივილიანი აპრილი – აჭარის მთიანეთში

ქვეყანა, მრავალტანჯული ქართველი ერი ჯერ კიდევ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულებს გლოვობდა, როცა მის განუყოფელ, მრავალგანსაცდელგამოვლილ აჭარის ისტორიულ სხალთა-ხიხანის ხეობაში მთას მოწყვეტილმა მთამ 23 ადამიანი მიწაში ჩამარხა. ათი დღის შუალედში ქვეყანამ მეორედ გამოაცხადა გლოვის დღე

ყველამ გაიზიარა აჭარის მთიანეთში დატრიალებული ტრაგედია, სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე მილიონობით მანეთი შეგროვდა. 48 დღის განმავლობაში ტრაგედიის ტერიტორიაზე არ შეწყვეტილა მექანიზატორების მუშაობა. დროის ამ მონაკვეთში, უგზოობის გამო, ხეობის 20-მდე სოფელი გარე სამყაროს იყო მოწყვეტილი. მათ ამ გაჭირვებას გაუძლეს, მეზობლების, ახლობლების ჭირი და უბედურება გაიზიარეს.

ტრაგედიიდან მე-40 დღეს სხალთას ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მღვდელმსახურებთან ერთად სხალთის გავერანებულ, ხავსმოკიდებულ ტაძარში დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად წირვა-ლოცვა აღავლინა, საყოველთაო ნათლობა ჩაატარა, მართლმადიდებელ ერს ტაძრის ამოქმედება მიულოცა და წინამძღვარი დაუდგინა.

19 აპრილის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დააახლოვა აჭარის მთიანეთის მოსახლეობა ქვეყნის სხვა რეგიონების მკვიდრთ. დაიწყო ერთობ რთული, მაგრამ საჭირო და დროული პროცესი - სტიქიისგან დაზარებული ოჯახების ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე გაყვანა. ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო. მოსახლეობა ვერ ტოვებდა წინაპრების საძვალეებს, საუკუნეებით ნაპატრონებ მამულს. სოფელ წაბლანიდან მოსახლეობის მასობრივად გაყვანას ბათუმის ტურისტულ ბაზებსა და სანატორიუმებში, ერთი ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ქვეყნის ღირსეული ადამიანები ყველაზე მეტ ყურადღებას სხალთის ხეობელებს, კერძოდ, წაბლანელებს აქცევდნენ. მრავალს კარგად ახსოვს სხალთის თემის მაშინდელი ხელმძღვანელის იზოლდა სურმანიძის თანადგომა დაზარალებული მეზობლების მიმართ. ჯერ, 48 დღის განმავლობაში, მიწაში ჩამარხულთა ძებნის სამუშაოებში იყო ჩართული, შემდეგ კი ორი თვის გამავლობაში წაბლანელებს ყველა ის ტერიტორია შემოატარა, რომლებსაც ქვეყნის მაშინდელი ხელისუფალი სტიქიისაგან დაზარალებულებს სთავაზობდა. მისი ინიციატივაც იყო, რომ წაბლანელებმა არჩევანი ბოლნისის რაიონის სოფელ დისველზე შეაჩერეს. ეს ტერიტორია გაჩანაგებული და მიტოვებული იყო. სწორედ 1989 წლიდან ახალი სიცოცხლე დაიწყო ძირძველმა ქართულმა სოფელმა, რაც წაბლანელების დამსახურებაა.

ყველა იზიარებდა თანამოძმეთა ტკივილს, მაგრამ რაც იზოლდა სურმანიძემ, შემდეგ წაბლანის სკოლის ახლანდელმა დირექტორმა გულნარა შაინიძემ გადაიტანეს, ენით უთქმელია.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა გაწეული ამაგის დაფასების ნაცვლად, იზოლდა სურმანიძის დევნაც კი დაიწყო, მაგრამ „სამართალმა პური ჭამა“... 2012 წლიდან მოყოლებული, იზოლდა ისევ მეზობლების სამსახურშია. 4 წლის განმავლობაში ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრიც იყო. აქტიურადაა ჩართული იმ პროგრამებისა და პრიორიტეტების შესრულებაში, რაც ხულოსა და სხალთა-ხიხანის მოსახლეობის წინაშე დგას. გაწეული დიდი შრომის დაფასებაა, რომ მას „საპატიო ხულოელის“ წოდება მიანიჭეს და აბუსერისძე ტბელის მუნიციპალური პრემია გადასცეს. 7 ათეულ წელს გადაცილებული მშობლიურ კუთხეს ვერ ელევა. საოჯახო სასტუმრო გახსნა, სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმს ხელმძღვანელობს. მთავარზე უმთავრესი კი ისაა, რომ 2013 წლის ივლისში წინაპრების ძირძველ მრწამსს დაუბრუნდა. მის საოჯახო არქივში საპატიო ადგილი უჭირავს 1989 წლის 29 მაისს პატრიარქთან გადაღებულ ფოტოებს და პატრიარქის მიერ ნაჩუქარ წიგნებს.

იზოლდას ამაგს არც დისველელები ივიწყებენ. იმ დროს, როცა დისველში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარი იკურთხა, იზოლდა ემიგრაციაში იყო. იქიდან დაბრუნებული, ბოლნისის ეპარქიის მღვდელმთავარ მეუფე ეფრემს ეახლა და მისი ლოცვა-კურთხევით, თანახეობელებს მართლმადიდებელი სალოცავის ამოქმედება მიულოცა. ისიც აღსანიშნავია, რომ დისველი და მუხროვანი ის აღორძინებული ქართული სოფლებია, სადაც მართლმადიდებლური ტაძრები მოქმედებს.

სტიქიისგან დაზარალებულთა მიმართ ყურადღების მხრივ იზოლდა გამონაკლისი არაა. საზოგადოებას კარგად ახსოვს აწ განსვენებული თემურ აბაშიძისა და ამჟამად მოქმედი პარლამენტარის ანზორ ბოლქვაძის ინიციატივა - ღურტასა და ჩანჩურხევში სტიქიისგან დაღუპულთა უკვდავსაყოფად მემორიალური დაფების გაკეთება, რომელიც შუახევში, კერძოდ კი ხაბელაშვილებში დაამზადეს. და ეს იმ დუმილის შემდეგ, როცა წინა საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მრავალმა საერთოდ მიივიწყა ღურტასა და წაბლანაში დატრიალებული ტრაგედიები, რეგიონის პირველი პირებიც აღარ მიდიოდნენ ხსოვნის მიტინგებზე... ახლა ღურტასა და წაბლანაში (ჩანჩურხევში) შესანიშნავი მემორიალებია გაკეთებული. გაწეული შრომა უნდა დაუფასდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს, ხულოელთა დელეგატს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ვახტანგ ბერიძეს.

წაბლანის ტრაგედიიდან ათი წელიც არ იყო გასული, როცა კარას მთიდან წამოსულმა მეწყერმა სატბაოს უბანში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ახლოს, 1998 წლის 18 აპრილს 6 ადამიანი იმსხვერპლა. ჩანჩურხევში სამი, ხოლო სატბაოში 2 ადამიანის ცხედარს ვეღარ მიაგნეს. ვახტანგ ბერიძის ინიციატივით, სატბაოს უბანში მემორიალთან ერთად, მეხორუმეთა ქანდაკება გაკეთდა, რომელიც შარშან, „ტბელობის“ სახალხო დღესასწაულზე გაიხსნა. წელსაც, ტრადიციისამებრ, 18 და 19 აპრილს სატბაოსა და ჩანჩურხევში სტიქიისგან განწირულთა ახლობლები შეიკრიბებიან. ხსოვნის მიტინგებზე რეგიონის, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები, ღვთისმსახურები კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს დაღუპულებს. სხალთის ტაძარსა და სხალთის ეპარქიის სხვა ტაძრებში მათი სულების უკვდავსაყოფად, სანთლებს დაანთებენ და ლოცვებში მოიხსენიებენ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მერია ბათუმელებს 9 ქვეპროგრამის ფარგლებში მოემსახურება

წელს ადგილობრივი ბიუჯეტი ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით უპრეცედენტოდ - 30 მილიონ ლარამდეა გაზრდილი. მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით წარმატებით ახორციელებს 9 ქვეპროგრამას. გადავწყვიტეთ, მოსახლეობას უფრო დეტალურად მივაწოდოთ ინფორმაცია მერიის პროგრამებზე, რათა შეძლონ ამ სიკეთეებით სარგებლობა. ერთიცაა: ექიმმა უნდა იცოდეს ამ პროგრამების შესახებ და მასთან მისული პაციენტი თავად დააკვალიანოს

მნიშვნელოვანია, რომ ბათუმელებს, საქართველოსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროების პროგრამებთან ერთად, ხელი მიუწვდებათ მერიის ჯანდაცვის პროგრამებზე. არ არსებობს ასაკი, კატეგორია, სტატუსი, ვისზეც პროგრამები არ არის მორგებული. დღეს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ ვისაუბრებთ, რომელიც 7 ღონისძიებისგან შედგება და 10721-მდე ბათუმელი სარგებლობს.

ბათუმის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პოლიტიკის განყოფილების უფროს მარინა რუხაძის განმარტებით, ძალიან დიდი მოთხოვნაა მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისა და ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებითა და ჯანმრთელობისთვის საჭირო საკვები დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამით სარგებლობაზე. ამისთვის წელს ადგილობრივ ბიუჯეტში 2 038 000 ლარია გათვალისწინებული. ქვეპროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შარშან 10 212 იყო, წელს კი ეს ციფრი 10 721-მდე გაიზარდა.

მარინა რუხაძის თქმით, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ პირებს.

ბრონქული ასთმით და ფოდით (ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება) დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირები სტატუსის გარეშე ჩაერთვებიან მედიკამენტებით უზრუნველყოფის ღონისძიებაში, ხოლო 18 წლის ზემოთ ამით ისარგებლებენ შშმ პირები, ასაკით პენსიონერები და სოციალურად დაუცველი პირები (100 000 ქულამდე).

დახმარება გაეწევა (ვაუჩერის სახით) იმ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი შშმ სტატუსის მქონე პირი (დახმარება გაიცემა თითოეულ შშმ სტატუსის მქონე პირზე).

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ, სოციალურად დაუცველ 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ასევე, შშმ პირებს და ასაკით პენსიონერებს გლუკომეტრის ჩხირების შესაძენად, წელიწადში ერთხელ მიეცემათ 100 ლარის ღირებულების ვაუჩერი.

- მედიკამენტების შესაძენად მომსახურება გაეწევა ბათუმში 2025 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შშმ პირებს, ომის ვეტერანებს, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები), მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს, ძალადობის მსხვერპლ პირებს, სავარაუდო ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს 18 წლის ჩათვლით (სოციალური მუშაკის რეკომენდაციით), მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს, ასევე, მარტოხელა ასაკით პენსიონერებს, რომელთა დახმარების საჭიროებას დაადასტურებენ ადმინისტრაციული სერვისცენტრების მენეჯერები. ჩამოთვლილ ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მედიკამენტური მკურნალობა არა უმეტეს 200 ლარისა წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი ან ვეტერანი, შშმ პირი და ვეტერანი ერთდროულად, თითოეულს მიეცემა შესაბამისი რაოდენობის 200 ლარის ღირებულების ვაუჩერი, - განაცხადა მარინა რუხაძემ.

ღონისძიებაში ჩასართავად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების ან სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა, ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან თანხისა და მედიკამენტების რაოდენობის მითითებით, ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ მიერ გაცემული მოკვლევა (საჭიროების შემთხვევაში), თანხის გადარიცხვა განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურაზე მითითებული აფთიაქის საბანკო ანგარიშზე.

18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა, ასევე, ჰომოცისტეინურიით, ცელიაკიით, გალაქტოზემიით და მუკოვისციდოზით დაავადებულ პირთა და 18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარების ღონისძიებებში ჩასართავად, ბენეფიციარმა მერიაში განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირების ან სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა IV-100/ა და საბანკო რეკვიზიტები უნდა წარადგინოს.

მანანა ტაკიძე

ლია მახარაძე: არ არსებობს მსუბუქი ნარკოტიკი! ადამიანი ან ახერხებს ადაპტირდეს გარემოსთან ფხიზელ მდგომარეობაში, ან...

თანამედროვე მედიცინა ოპიოიდებზე დამოკიდებულებას ანუ ოპიოიდურ ნარკომანიას განიხილავს როგორც ქრონიკულ დაავადებას, რომელიც რემისიებითა (ნათელი პერიოდები) და რეციდივებით (გამწვავებები) მიმდინარეობს. არსებობს ამ დაავადების მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად ერთიანდება: ნარკოტიკების გარეშე ცხოვრებაზე ორიენტირებული თერაპია და მხარდამჭერი მკურნალობა, ანუ ჩანაცვლებითი თერაპია

არაოფიციალური მონაცემებით, წლებია, ჩვენს ქვეყანაში ნარკოდამოკიდებულ პირთა რიცხვი 50 000-ს აღწევს და მათგან რაც უფრო მეტი მომხმარებელი ჩაერთვება ჩანაცვლებით პროგრამაში, მით უფრო გამართლებული იქნება სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკა ჩანაცვლებით თერაპიასთან მიმართებაში.

საზოგადოებისთვის და, განსაკუთრებით, დამოკიდებული პირების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის ყველაზე მისაღებია მკურნალობის ისეთი მეთოდები, რომლებიც თავიდანვე ორიენტირებულია ნარკოტიკების მიღების შეწყვეტაზე. სამწუხაროდ, მრავალწლიანმა საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი მკურნალობის ეფექტიანობა არც ისე მაღალია.

ჩანაცვლებითი თერაპია პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოიტანეს გასული საუკუნის 60-იან წლებში, ამჟამად კი ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოში. ამ პროგრამის ფართოდ გავრცელებას განსაკუთრებული ბიძგი მისცა აივ/შიდსის ეპიდემიამ, ვინაიდან აღნიშნული მკურნალობა ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირებში ინიექციური გზით აივ/შიდსისა და ჰეპატიტების გავრცელების შეზღუდვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

საქართველოში ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა პირველად 2004 წელს, გლობალური ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა. აღნიშნული პროგრამა განკუთვნილი იყო რამდენიმე ათეული პაციენტისთვის და სრულად ფინანსდებოდა გლობალური ფონდის მიერ. პროგრამის ეფექტიანობიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდის შემდეგ, 2008 წლიდან, ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდა მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, რომელიც ხორციელდებოდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების პრინციპით (პაციენტისა და სახელმწიფოს თანამონაწილეობით).

მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა არასდროს ყოფილა კერძო პროგრამა, მისი განმახორციელებელი ყოველთვის იყო ჯანდაცვის სამინისტრო. 2017 წლის ზაფხულიდან გაუქმდა თანადაფინანსების პრინციპი და აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა პაციენტებისთვის გახდა აბსოლუტურად უფასო, ამიტომაც მყისიერად გაიზარდა პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რიცხვი და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა არა ნარკოტიკების დამწყები მომხმარებლების ხარჯზე, არამედ ხანგრძლივი მოხმარების გამოცდილების მქონე იმ პირების ჩართვის შედეგად, რომლებიც უსახსრობის გამო აქამდე ვერ სარგებლობდნენ პროგრამით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის აპრილში გაიხსნა „ბათუმის ნარკოლოგიისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, სადაც პაციენტს შესაძლებლობა აქვს, თვითდაფინანსებით მიიღოს პრეპარატი, რომელიც მეტადონზე მსუბუქი და, როგორც ნარკოლოგმა ***ლია მახარაძემ*** *გვითხრა, ხანგრძლივმოქმედია. აღნიშნულ ჩანაცვლების პროგრამაზე ქალბატონ ლიას ვესაუბრეთ. ის 2007 წლიდან 2017 წლამდე ბათუმში მეტადონის ჩანაცვლების პროგრამას ხელმძღვანელობდა, ამჟამად კი ბათუმის „ნარკოლოგიისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში“ მუშაობს. „მედიცინაში 1988 წლიდან ვმუშაობ, თავიდან ზოგადი პროფილის ექიმი ვიყავი - სასწრაფო დახმარების სადგურში ვმუშაობდი. ნარკოლოგიით 2001 წლიდან დავინტერესდი. 2007 წლიდან მეტადონის ჩანაცვლების პროგრამას ვუწევდი კოორდინაციას. ეს იყო საპილოტე პროგრამა. საქართველოში პირველი რეგიონი ვიყავით, ქვეყნის მასშტაბით კი მესამე, მანამდე დედაქალაქში უკვე მოქმედებდა 2 ცენტრი. შემდეგ თანდათან გაფართოვდა, ახლა უკვე სახელმწიფო პროგრამაა და საკმაოდ ფართოა. 2017 წლიდან ვარ კერძო ჩანაცვლების პროგრამაში ბათუმის „ნარკოლოგიისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში“, - გვითხრა ლია მახარაძემ.*

- ქალბატონო ლია, გმადლობთ, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით. წლებია, ნარკოლოგად მუშაობთ. სტატისტიკურად, წლების განმავლობაში მომართვიანობამ იმატა თუ იკლო?

- რაც ნარკოლოგიაში ვარ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცენტრში მომართვიანობა ერთნაირია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზოგად სიტუაციას მაინც ვერ განსაზღვრავ, უპირველესად იმიტომ, რომ ჩვენი მომსახურება ფასიანია, პაციენტს უნდა ჰქონდეს გადახდის უნარი, პრეპარატი რომ მიიღოს. ამ ეტაპზე, 800-ზე მეტი მომხმარებელი გვყავს. ოღონდ ყოველდღიურად ეს რაოდენობა არ დადის - მხოლოდ100-150 პაციენტი. პრეპარატი ხანგრძლივმოქმედია და იძლევა იმის საშუალებას, რომ ყოველ მე-3 დღეს მიიღო. ზოგი ახერხებს ამას და ექიმთან შეთანხმებით დღეგამოშვებით მოიხმარს. ამჟამად ძირითადი, რასაც ცენტრში ვაკეთებთ, ჩანაცვლების თერაპიაა. ეს არის „ბუპრენორფინისა“ და „ნალოქსონის“ კომბინირებული პრეპარატი, რომელიც განსხვავდება მეტადონისგან. ეს პრეპარატი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ არის ხელმისაწვდომი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიშნება პაციენტს, თუ მეტადონზე უკუჩვენება ექნება, რადგან უფრო ძვირად ღირებულია.

- თქვენთან მოსული პაციენტის ვინაობა კონფიდენციალურია?

- საერთოდ, პაციენტის ვინაობა კონფიდენციალურია, მაგრამ სახელმწიფო რასაც აფინანსებს, მათ ანგარიში აქვთ ჩასაბარებელი, ვის, როგორ, რამდენი, რანაირად ჩაბარდა პრეპარატი. ჩვენ ეს ვალდებულება არ გვაქვს. აქ მოსულ პაციენტს ენიჭება სპეციალური კოდი და სწორედ დაცული მონაცემით შეგვყავს ბაზაში, მისი პირადი ინფორმაცია კი ინახება სხვა, სხვებისთვის მიუწვდომელ საქაღალდეში. ამ ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ განცხადების ან სასამართლოს გზით შეიძლება.

- ხშირად საუბრობენ, რომ პაციენტებს ადგილზე მისაღები აბი/პრეპარატი შენობის გარეთ გააქვთ და ინიექციის სახით იკეთებენ. რამდენად კონტროლდება ეს პროცესი?

- თავიდანვე აღვნიშნავ, რომ სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამები რეგულაციებით არ განსხვავდება. კი, იყო პერიოდი, პრეპარატი შენობიდან გადიოდა. ეს უფრო კოვიდპანდემიის დროს ხდებოდა, როდესაც რამდენიმე ადამიანის ერთ შენობაში გაჩერება იკრძალებოდა, დღეს კი რეგულაციები გამკაცრებულია. ამ ეტაპზე შენობიდან პრეპარატი მხოლოდ ექიმის დანიშნულების საფუძველზე გადის. თუ პაციენტი სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობს, ადგილზე მივდივართ და პრეპარატს მედპერსონალს ვაბარებთ, მაგრამ თუ პაციენტს სახლში დანიშნული აქვს წოლითი რეჟიმი, ან ჩვენ მიგვაქვს, ან მინდობილ პირს გადავცემთ და ისიც - ერთი დღის დოზას. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება გავაკონტროლოთ, შემდეგ პრეპარატი რა სახით მიიღო პაციენტმა? ჩვენი ერთადერთი ბერკეტია, როდესაც თვეში ერთხელ სისხლს აბარებენ და ანალიზში სხვა პრეპარატი ამოუვიდა, გაფრთხილება მივცეთ. ეს შეიძლება „ქუჩის“ ნარკოტიკი იყოს, განმეორების შემთხვევაში, გაფრთხილების შემდეგ, კომისია იქმნება, რომელიც მსჯელობს ამ პიროვნების პროგრამიდან გაშვებაზე. პაციენტს პროგრამიდან იშვიათად ვუშვებთ, რადგან ჩვენგან რომ წავა, რა ბედი ეწევა, არავინ იცის. მხოლოდ დისციპლინას ვინც არღვევს, იმ პირის გაშვება გვიწევს - თუ წამლის გატანა სცადა ან იჩხუბა და სხვას ცუდი მაგალითი მისცა.

იხ. მე-9 გვ.

გულნარა დიასამიძის ცხოვრებისეული გზა და მთავარი გამარჯვება

თვლის, რომ ნებისმიერი გამოწვევა საუკეთესო გამოცდილებაა და თუ იბრძვი, თუ გწამს, აუცილებლად მიაღწევ წარმატებას. სწორედ, დაუღალავმა შრომამ, ბრძოლისუნარიანობამ, განვითარებასა და ინოვაციაზე მუდმივმა ორიენტირებამ განაპირობა ის, რომ დღეს ბათუმში ერთ-ერთ წარმატებულ სტომატოლოგიურ კლინიკას ფლობს, რომელიც 2001 წლიდან არ კარგავს საზოგადოების ნდობას

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ბათუმელი ექიმი, არაჩვეულებრივი დედა და ბებია, „დენტა-ლუქსის“ დამფუძნებელი და დირექტორი ***გულნარა დიასამიძეა,*** *რომელიც პროფესიაზე, საკუთარ კლინიკაზე, თავის ოჯახსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა. მისი ისტორიები, ცხოვრებისეული გზა გულგრილს არავის დაგტოვებთ და კიდევ ერთხელ გაგრძნობინებთ, რომ უნდა გჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების და ბრძოლაში, რომელსაც მიზნების მისაღწევად წამოიწყებთ, შემხვედრმა ბარიერებმა არ უნდა დაგაბრკოლოთ.*

- ქალბატონო გულნარა, მოგვიყევით ბავშვობაზე, პროფესიაზე...

- დავიბადე და გავიზარდე ბათუმში. ოქროს მედალზე დავამთავრე ბათუმის №2 ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი. სწავლა გავაგრძელე მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო სტომატოლოგიურ უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის ორთოპედიული სტომატოლოგიის კათედრაზე გავიარე ორდინატურა.

- მაშინ, როდესაც ფიზიკა-მათემატიკური სკოლა წარმატებით დაამთავრეთ, რატომ აირჩიეთ სტომატოლოგია?

- მართალია, მშობლებმაც მირჩიეს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ექიმობა ჩემი ბავშვობის ოცნება გახლდათ. ყოველთვის მინდოდა ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. სტომატოლოგია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკურად განვითარებული დარგია, მასში უდიდესი მნიშვნელობა აქვს დეტალებს, სიმეტრიას, პროპორციას ეს, გარკვეულწილად, მათემატიკურ და ლოგიკურ აზროვნებას მოითხოვს. სტომატოლოგია ის სფეროა, სადაც მეცნიერება, ტექნოლოგია და ხელოვნება ერთიანდება, გაძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკული ცოდნა გამოიყენო და შენი შრომის შედეგი პაციენტების ღიმილში ნახო. სტომატოლოგია მხოლოდ კბილების მკურნალობა არ არის, ის ხელოვნებაა, რომელიც უშუალოდ ცვლის ადამიანის ცხოვრებას. ეს ყველაფერი ჩემთვის უდიდესი მოტივაცია გახდა, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სტომატოლოგია იყო სწორი არჩევანი და გზა, რომლისთვისაც ბოლომდე უნდა მეერთგულა. რაც შეეხება პროფესიული განვითარების ეტაპებს, 1983-2000 წლებში ვმუშაობდი ბათუმის სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში, სადაც გავიარე კარიერული გზა ექიმიდან მთავარ ექიმამდე. ამ პერიოდში მივიღე პროფესიული გამოცდილება, შევიძინე ხელმძღვანელობის უნარები და პაციენტებთან ურთიერთობის პრაქტიკა, რამაც მომავალში დამოუკიდებელი საქმიანობისკენ მიბიძგა.

- როგორ დააფუძნეთ კომპანია და განვითარების რა ეტაპები გაიარეთ?

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მთავარ ექიმად მუშაობის პერიოდში მივხვდი, რომ სურვილი მქონდა, დამოუკიდებლად გამეგრძელებინა საქმიანობა და ახალი სტანდარტები დამენერგა. 2001 წელს დავაფუძნეთ ერთ-ერთი პირველი კერძო სტომატოლოგიური კლინიკა ქალაქ ბათუმში. მომხმარებელზე ორიენტირებულმა, ხარისხიანმა მომსახურებამ, პაციენტების უპირობო ნდობამ მოგვცა საშუალება, გავფართოებულიყავით და დღეისათვის „დენტა-ლუქსი“ აერთიანებს სამ ფილიალს, ასევე, დიპლომის შემდგომი განათლების სასწავლო ცენტრს, რომელსაც მინიჭებული აქვს ISO 9001 საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი, რაც ადასტურებს ჩვენი მომსახურების მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, წლების განმავლობაში, ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმი სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ჯილდოებითაა აღიარებული, რაც ჩვენთვის უდიდესი მოტივაციაა.

- როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი, რომ მომხმარებელი წლებია, გიცხადებთ ნდობას?

- ჩვენთვის ნდობა ყველაზე მნიშვნელოვანია. ვმუშაობთ ეთიკისა და პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტებით. პაციენტისთვის მხოლოდ მკურნალობა არ არის საკმარისი, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მიდგომა, ემოციური კომფორტი და განცდა, რომ მათზე ზრუნავენ. ეს პრინციპი ჩვენთვის ყოველთვის პრიორიტეტული იყო და ვფიქრობ, სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ხანგრძლივი წარმატება.

- როგორც ვიცით, მთელი ოჯახი ჩართული ხართ სტომატოლოგიურ საქმიანობაში, მოგვიყევით თქვენს გუნდსა და მთავარ პრიორიტეტებზე...

- დიახ, სტომატოლოგია ჩვენთვის არა მხოლოდ პროფესია, არამედ ცხოვრების წესია. ჩემი შვილები და რძალი, ასევე, ექიმი სტომატოლოგები და ჩვენი გუნდის მნიშვნელოვანი წევრები არიან. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის მომსახურება, მუდმივი განვითარება და ინოვაციებზე ორიენტირება. „დენტა-ლუქსის“ გუნდი შედგება გამოცდილი და ახალგაზრდა სპეციალისტებისგან, რომლებიც რეგულარულად გადიან პროფესიულ ტრენინგებს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. ეს გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ თანამედროვე სტომატოლოგიის ავანგარდში და შევთავაზოთ პაციენტებს საუკეთესო შედეგზე ორიენტირებული მომსახურება.

- გვიამბეთ თქვენს პედაგოგიურ მოღვაწეობაზე...

- ჩემი პროფესიული კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი პედაგოგიური საქმიანობა იყო. როგორც სტომატოლოგიის სფეროს სპეციალისტი, ყოველთვის ვცდილობდი, არა მხოლოდ პრაქტიკაში დამემკვიდრებინა თავი, არამედ ჩემი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა თაობისთვისაც გამეზიარებინა. პედაგოგიური მოღვაწეობა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიწყე, სადაც აქტიურად ვმონაწილეობდი სტომატოლოგიური ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საინტერესო პერიოდი ჩემს კარიერაში. უნივერსიტეტში მუშაობის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი სტუდენტთა თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ვატარებდი ლექციებსა და სემინარებს, ვხელმძღვანელობდი კურსის და სადიპლომო ნაშრომებს. ჩემი მიზანი ყოველთვის იყო, სტუდენტებს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა მიეღოთ, არამედ პრაქტიკული უნარებიც განვითარებინათ, რაც მომავალ საქმიანობაში გამოადგებოდათ. დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ პროფესიული განვითარების პროცესი უწყვეტია და სამედიცინო განათლებაში მუდმივი განახლება და დახვეწა აუცილებელია. სწორედ ამ პრინციპით დავაფუძნე

იხ. მე-9 გვ.

ფუტკრების მეგობარი – მაკა კახიძე

მეფუტკრეობა ძალიან საინტერესო საქმიანობაა. ის სიფრთხილეს, მოთმინებასა და ბუნებასთან ჰარმონიულ ურთიერთობას მოითხოვს. მეფუტკრეები ოდითგანვე, ძირითადად, მამაკაცები იყვნენ, თუმცა დღეს ქვეყანაში გვყავს მეფუტკრე ქალებიც, რომლებიც შრომითა და მონდომებით ამ დარგის განვითარებაში საკუთარ სიტყვას ამბობენ, მათგან ერთ-ერთი ***მაკა კახიძეა.***

- რატომ დაინტერესდით მეფუტკრეობით?

- ჩემს მეუღლეს სამოყვარულო დონეზე ჰყავდა ფუტკარი და მეც დავინტერესდი, თუმცა თავიდან მათი ძალიან მეშინოდა, რადგან ფუტკრებთან ურთიერთობა ჩემთვის სიახლე იყო. შემდეგ შიშიც დავძლიე და ამ საქმეს მოვკიდე ხელი.

- გახსოვთ პირველი დღე სკებთან?

- ერთ დღეს მეუღლემ თაფლის ხილვის პროცესში მთხოვა დახმარება და ეს იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მალევე გადავწყვიტე, მეც ჩავრთულიყავი ამ საქმეში.

- როგორია, იყო ქალი მეფუტკრე პროფესიაში, რომელიც უფრო მამაკაცურ საქმედ ითვლება?

- მთავარია, შენი პროფესია გიყვარდეს და გრძნობდე, რომ სიამოვნებას განიჭებს, არ აქვს მნიშვნელობა, რა საქმიანობა იქნება ეს და ვისთან დაკავშირებული - ქალთან თუ მამაკაცთან.

- შეგხვედრიათ სტერეოტიპული დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან?

- ბევრს უკვირს, რომ ფუტკრების არ მეშინია. მეფუტკრე ქალებთან დაკავშირებით უფრო მკვეთრი რეაქცია აქვთ.

- მეფუტკრეობა თქვენთვის მხოლოდ პროფესიაა თუ უფრო სულიერი კავშირია ბუნებასთან?

- ჩემს საქმესთან სიყვარული მაკავშირებს, ამავდროულად, ის ბუნებასთანაა კავშირში. მეფუტკრეობა ჩემთვის გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესია, რომელიც ჩემი ცხოვრების გეგმებთანაა დაკავშირებული.

- როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე თაფლის ხილვის სეზონზე?

- თაფლის ხილვის სეზონის მოსვლამდე დიდი მზადება და მობილიზაციაა, რადგან ეს პროცესი სირთულესთანაა დაკავშირებული. ორგანიზმის მზადყოფნაც აუცილებელია, რადგან ამ დროს ფუტკარი მეტად გაღიზიანებულია და აგრესიას გამოხატავს, ამიტომ მეტი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო. ამ ეტაპზე 60 სკა გვაქვს. მათ მოვლაში მე და ჩემი მეუღლე აქტიურად ვართ ჩართულები. ფუტკრის სწორად მოვლა აუცილებელი და სავალდებულოცაა, ვინაიდან ეს პროდუქტის ხარისხზე აისახება.

- ყველაზე მეტად რა გჭირდებათ თქვენი საქმის უკეთესად წარმართვისთვის?

- მხოლოდ ტექნიკის პრობლემა გვაქვს, რომელიც გვესაჭიროება სკების სოფელში გადაყვანისთვის.

- ძირითადად, რომელი სახეობის თაფლს აწარმოებთ?

- ხილის ყვავილისგან მაისის თაფლს ვაწარმოებთ ბარში, ხოლო მთაში, ხინოწმინდაში, ნაკრძალის ტერიტორიაზე - წაბლისა და ცაცხვის თაფლს.

- რა იყო ყველაზე დიდი დაბრკოლება თქვენს გზაზე და როგორ გადალახეთ?

- როდესაც დამწყები მეფუტკრე ვიყავი, ჯერ არ მენდობოდნენ, საზოგადოება არ მიცნობდა და შესაბამისად, თაფლის რეალიზაცია ძალიან რთული იყო. მალევე გავწევრიანდი აჭარის მეფუტკრეთა ასოციაციაში და მათი დახმარებით ბევრი რამ შევისწავლე, მოვიპოვე საზოგადოებაში მეტი ნდობაც და პოპულარობაც.

- რას ნიშნავს თქვენთვის ფუტკარი?

- ფუტკარი ღვთიური მწერია, რომელიც კაცობრიობას ემსახურება. როგორც ერთ სიმღერაშია: „ამაზე კარგი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცეს და ღმერთს სანთელი“.

- რას ეტყოდით გოგონებს, რომელებიც ფიქრობენ ამ საქმის დაწყებაზე?

- მთავარი საქმის სიყვარული და მონდომებაა, სხვა დანარჩენი თავისით მოდის, პროცესი კი იმაზე მეტად სასიამოვნოა, ვიდრე ეს შეგიძლიათ წარმოიდგინოთ.

- თქვენი აზრით, რას მატებს ქალი მეფუტკრე ამ სფეროს?

- მეტ სიხალისეს, სტიმულს და პოზიტივს.

- გეგმებზე გვიამბეთ...

- მინდა აპის სახლის (ფუტკრის კოტეჯის) გაკეთება, სადაც ჩემს საოჯახო სასტუმროში ჩამოსულ ტურისტებს მასტერკლასებს შევთავაზებ და თაფლის ხილვის პროცესში მონაწილეობას მივაღებინებ. ამასთანავე, ტურისტებს ძალიან აინტერესებთ ფუტკრის რძის წარმოებაც და მინდა, თაფლის საწარმოც გავაკეთო.

თამარ ლამპარაძე

მეუღლისადმი მიძღვნილი გამოფენა და ერთი ამოსუნთქვით გადმოცემული სათქმელი

„ჩემი გაზაფხული“ - ასე ჰქვია სულეიმან ვალეტოვის პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ხელოვნების მუზეუმის გალერეა 23 აპრილის ჩათვლით უმასპინძლებს

ფერწერული ნამუშევრები ფერთა საოცარი გამით გადმოსცემს შემოქმედის სულიერ განწყობას, მის დამოკიდებულებას ყოველდღიური ცხოვრების მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ მუზეუმში გამოფენილი პორტრეტების სერია მხატვარმა მეუღლეს, თავისი შემოქმედების მუზას მიუძღვნა, სიყვარულს, რომელიც თანაცხოვრების 30 წელს ითვლის.

სულეიმან ვალეტოვი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო რეალიზმით, შემდგომ კი იმპრესიონიზმით დაინტერესდა. როგორც თავად გვითხრა, ცდილობს, მხატვრობაში მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს ბუნების სილამაზეს დაუთმოს, ტილოზე გადაიტანოს ის რეალობა, რომელიც საქართველოს მრავალფეროვნებას წარმოაჩენს. მისივე თქმით, ნახატები შესრულებულია ნატურიდან, ერთი ამოსუნთქვით. მიაჩნია, რომ ასე ბევრად ცოცხალი და მეტყველია ტილო, რომელზეც ამბავი ყველაზე ცხადად იკითხება.

„მხატვარს, რომელმაც ცოლს ამდენი ნახატი მიუძღვნა, ვერ ვიხსენებ, ფენომენალური ამბავია“, - აღნიშნა ხელოვნებათმცოდნე რატი ჩიბურდანიძემ.

სულეიმან ვალეტოვს წარმატებები უსურვა ხელოვნების მუზეუმის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან წულუკიძემ.

- სულეიმანის ტილოებს უკვე მეორედ მასპინძლობს გალერეა, თუმცა ეს გამოფენა მნიშვნელოვანია იმით, რომ პორტრეტების მთელი სერია მიძღვნილი აქვს მეუღლისთვის - თავისი მუზისთვის. ვხედავთ პორტრეტებს,

რომლებიც განსხვავებულია ხასიათით, ფერებით, გადმოცემის მანერით. სულეიმანი ამით ამტკიცებს, რომ ის არა მარტო კარგი პეიზაჟისტი და ნატურმორტისტია, არამედ კარგი პორტრეტისტიც, რაც მისასალმებელია. როგორც ვიცი, საშემოდგომოდ კიდევ ერთი გამოფენის მოწყობას აპირებს და მინდა, არაერთი წარმატება და გამარჯვება ვუსურვო მას, - აღნიშნა ლევან წულუკიძემ.

გამოფენაზე მყოფმა მხატვრის პედაგოგმა რეზო ინასარიძემ გაიხსენა, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენაზე როგორ მოეწონა სულეიმან ვალეტოვის ნახატები და გადაწყვიტა, დახმარებოდა ნიჭიერ ბავშვს, რომელსაც, მისი წინათგრძნობით, საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ელოდა.

- მისი ასაკის ბავშვებისგან ძალიან გამორჩეული იყო, ალბათ ამიტომაც მიიქცია ჩემი ყურადღება და გავხდი მისი მასწავლებელი, თუმცა ახლა ის ჩემზე უკეთესად ხატავს, რაც, რა თქმა უნდა, მახარებს. სულეიმანი გამოირჩევა თავისი კუთხის სიყვარულით, ყველაფერში ხედავს სილამაზეს. ძალიან ენერგიული და ნაყოფიერი შემოქმედია, ყოველდღე შეუძლია ორი ტილოს დახატვა. ასეთი რამ იშვიათია. მხატვრობაში ჯერ კიდევ ახალგაზრდად ითვლება და მჯერა, კვლავ არაერთ წარმატებას მიაღწევს, - აღნიშნა მხატვარმა რეზო ინასარიძემ.

მხატვარ მეუღლეს გამოფენის მიძღვნისთვის მადლობა გადაუხადა მზისადარ აბაშიძემ. როგორც გვითხრა, შემოქმედი ადამიანის ცოლობა ძალიან საინტერესო და ემოციურია. მისივე თქმით, სულეიმანი გარდა იმისა, რომ კარგი მხატვარია, კარგი მამა და მეუღლეცაა, რომელიც მუდამ მზადაა, იდგეს თავისი საყვარელი ოჯახისა და ადამიანების სამსახურში.

- იყო მხატვრის მუზა, საპასუხისმგებლოცაა და სასიამოვნოც. 30 წელია ცოლ-ქმარი ვართ, სიყვარულით, ერთმანეთის გვერდით დგომით გადავლახეთ ყველა ბარიერი, რომელიც ცხოვრების გზაზე შეგვხვდა. ბედნიერი ვარ, რომ მამის მსგავსად, შვილებიც ხატავენ, ოჯახში ხატვაზე შეყვარებული სამი მამაკაცი მყავს. მართალი გითხრათ, ცოტა რთულია, იყო მხატვრის მუზა, რამდენიმე წუთი, საათი იჯდე ერთ ადგილას და გხატავდნენ, მაგრამ, შედეგს როცა ვხედავ, საოცარი შეგრძნებები მეუფლება. მინდა, მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, კარგი ადამიანობისთვის, იმ სიკეთისა და სიყვარულის უნარისთვის, რითაც გვავსებს ჩვენ და ავსებს თავის შემოქმედებას, - აღნიშნა მზისადარ აბაშიძემ.

ღონისძიების დასასრულ, მხატვარმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის ხელმძღვანელობას, გამოფენის გახსნაზე მისულ ადამიანებს და აღნიშნა, რომ ის მუდამ მზად არის, ემსახუროს ხელოვნებას, წარმოგვიდგინოს ტილოები, რომლებიც სიყვარულის დაუსრულებელ ამბებს ჰყვებიან.

- ბედნიერი ვარ, რომ აჭარაში დავიბადე, ძალიან მიყვარს ჩვენი კუთხის სილამაზე და ვცდილობ, პეიზაჟებში გადავიტანო ეს ყველაფერი. დღევანდელ გამოფენაზე, ძირითადად, პორტრეტებია წარმოდგენილი და თითოეული ჩემი მეუღლისაა. ამით მინდა მისდამი დიდი სიყვარული და მადლიერება გამოვხატო. 30 წელი შეგვისრულდა, რაც ერთად ვართ და მჯერა, კიდევ არაერთი ლამაზი წელი გველოდება შვილებსა და ძვირფას ადამიანებთან ერთად. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელმაც ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე მაგრძნობინა თანადგომა, მადლობა სამყაროს იმ სიყვარულისა და აღქმებისთვის, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვგრძნობ, მადლობა უფალს შესაძლებლობისთვის, ნიჭისთვის, ვხატო და ასე გადმოვცე ჩემი სულიერი სამყარო, ემოციები, - გვითხრა სულეიმან ვალეტოვმა.

ნანა აბულაძე

ლია მახარაძე: არ არსებობს მსუბუქი ნარკოტიკი! ადამიანი ან ახერხებს ადაპტირდეს გარემოსთან ფხიზელ მდგომარეობაში, ან...

მე-7 გვერდიდან

- თქვენი ცენტრი სარეაბილიტაციოა. გარდა იმისა, რომ, ასე ვთქვათ, „ლომკას“ უხსნით პაციენტებს, უმცირებთ თუ არა პრეპარატის დოზას, რათა ნელ-ნელა ჩამოშორდნენ წამალდამოკიდებულებას?

- არა, ჩვენ ასეთი პროგრამა არ გვაქვს. რეაბილიტაცია არ გულისხმობს დოზების შემცირებას. საქართველოში დაშვებულია 4 სახის ჩანაცვლებითი პროგრამა. ესენია: ხანმოკლე დეტოქსიკაცია, ხანგრძლივი დეტოქსიკაცია, ხანგრძლივი მხარდამჭერი თერაპია და სპეციალურ პირობებში, სტაციონარში პრეპარატის გამოყენება. ჩვენ ვმოქმედებთ იმის მიხედვით, თუ რაზეა ორიენტირებული პაციენტი და რა შესაძლებლობა აქვს. თუ პირი არის ორიენტირებული ნარკოტიკის მოხმარების სწრაფად შეწყვეტაზე, მაშინ მას სქემას ვუდგენთ, დოზებს ვუკლებთ. ეს სწრაფი კლებაც, მინიმუმ, სამთვიანია, ხანგრძლივი - 6-თვიანი, მაგრამ ეს მაინც პაციენტზეა დამოკიდებული - სურვილი შეიძლება დიდი ჰქონდეს, მაგრამ შესაძლებლობამ არ შეუწყოს ხელი ან შემდეგში შეიძლება სურვილიც შეეცვალოს. თავიდანვე აფიქსირებს პაციენტი, რა სურს. ზოგი პროგრამაზე დადის, რომ არ დაიჭირონ. ჩანაცვლებითი თერაპია არის ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირების პროგრამა, ეს არ არის დეტოქსიკაციის პროგრამა, ანუ ზიანის თავიდან აცილების პროგრამაა.

- რა ასაკიდან შეიძლება მოგმართოთ პაციენტმა?

- 18 წლის ასაკიდან. ადრე 21 წლიდან იყო დაშვებული.

- თუ არის შესაძლებელი, მოგმართოთ პაციენტის მშობელმა, ოჯახის წევრმა ან მეუღლემ, რომ პირს პროგრამით მომსახურება შეუწყვიტოთ?

- შეუძლებელია, რომ პაციენტი ვინმეს თხოვნით გავუშვათ, რადგან, ასეთ შემთხვევაში, მას ვტოვებთ ეგრეთ წოდებულ ლომკაში. ჩვენ ოჯახის წევრებს ვუხსნით, რომ ეს ერთობლივად, ოჯახში უნდა გადაწყვიტონ და მათი შეთანხმებით მოხდეს ნელ-ნელა დოზის შემცირება თუ პროგრამიდან გასვლა. ჩვენ პაციენტს ვინმეს სურვილით, რისკის ქვეშ, ქუჩაში ვერ გავუშვებთ.

- გვესმის, რომ ძნელია და რთული ნარკოტიკისგან თავის დაღწევა. რას ურჩევთ მომავალ თაობას, რომ ამ საფრთხის წინაშე არ დადგეს?

- უპირველესია, არ უნდა გასინჯონ არანაირი ნარკოტიკი. არ არსებობს მსუბუქი ნარკოტიკი! ადამიანი ან ახერხებს ადაპტირდეს გარემოსთან ფხიზელ მდგომარეობაში, ან... ყოველთვის არ ხდება მიჩვევა, ამასაც ვიტყვი, მაგრამ თუ არ გასინჯავ, 100 პროცენტით ხარ დაცული. კანაფის მომხმარებელთა 30 პროცენტი, ცნობილია, რომ უფრო მძიმე ნარკოტიკებზე გადადის. ბევრს მიაჩნია, რომ ეს მსუბუქი ნარკოტიკია და ერთჯერადად არ გკლავს, მაგრამ ფსიქოლოგიური აშლილობა შეიძლება გამოიწვიოს. ანალოგიურად, ყველა პრეპარატს აქვს თავისი გართულება. არასდროს უნდა იფიქრო, რომ ხვალ შეძლებ ნარკოტიკისგან თავის დაღწევას. ეს ასე არ ხდება. პაციენტმა უნდა გაითავისოს, რომ ის უკვე წამალდამოკიდებულია და თუ მისგან თავის დაღწევა სურს, დროულად უნდა მიმართოს ზომებს.

ხატია იაშვილი

გულნარა დიასამიძის ცხოვრებისეული გზა და მთავარი გამარჯვება

მე-8 გვერდიდან

დიპლომისშემდგომი უწყვეტი განათლების სასწავლო ცენტრი, რომელშიც ახალგაზრდა სტომატოლოგებს ვთავაზობთ სპეციალიზებულ ტრენინგებს, მასტერკლასებსა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ სტომატოლოგთა პროფესიულ განვითარებას და მათ მივცეთ შესაძლებლობა, აითვისონ თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური მეთოდები. პედაგოგიური საქმიანობა ჩემთვის ყოველთვის იყო არა მხოლოდ პროფესია, არამედ მოწოდებაც. ყოველი ახალი თაობის აღზრდა და მათი წინსვლა ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა. ამიტომ კვლავაც ვაგრძელებ მუშაობას განათლების სფეროში, რათა ქართველ სტომატოლოგებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მაღალი დონის განათლება და განვითარდნენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- რას მიიჩნევთ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად?

- სიცოცხლეში არის მომენტები, როცა უნდა აირჩიო - შიში თუ იმედი, ეჭვი თუ რწმენა, ბრძოლა თუ დანებება? ჩემს ცხოვრებაში ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი მაშინ დადგა, როცა ჩემს პატარა შვილიშვილს, სიცოცხლის პირველივე თვეებში, უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს და ღვიძლის გადანერგვა დასჭირდა. ამ გადაწყვეტილებას ბევრმა სკეპტიკურად შეხედა. მაშინ საქართველოში ასეთი რამ არავის გაეკეთებინა, არ არსებობდა პრეცედენტი, არ არსებობდა გამოცდილება. ბევრი მედიკოსიც კი ვერ იჯერებდა, რომ ოპერაცია წარმატებით ჩაივლიდა, მაგრამ როცა საქმე შენს სისხლსა და ხორცს, შენს საყვარელ ბავშვს ეხება, აღარ არსებობს „შეუძლებელი“, მხოლოდ ბრძოლა რჩება. ეს იყო ურთულესი პერიოდი, გადაწყვეტილებების მიღება, გაურკვევლობისა და შიშის დაძლევა, იმედით სავსე ლოდინი, მაგრამ, არცერთი წამით არ დამიშვია, რომ შეიძლებოდა არ გამოგვსვლოდა. ეს იყო ერთდროულად მეცნიერებაზე, პროფესიონალიზმსა და უზომო დედობრივ სიყვარულზე დაფუძნებული რწმენა, რომ ჩემმა შვილიშვილმა უნდა იცოცხლოს, უნდა გაიზარდოს, უნდა იყოს ბედნიერი. და ჩვენ ეს შევძელით. ჩემი შვილიშვილი იყო პირველი ღვიძლგადანერგილი პაციენტი საქართველოში. ეს არ იყო მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორია, ეს იყო ახალი იმედის გაჩენა უამრავი ადამიანისთვის, ვინც შესაძლოა, მსგავს ბრძოლაში აღმოჩენილიყო. დახმარებისთვის ათობით პაციენტი გვიკავშირდებოდა, ვისაც მსგავსი პრობლემა ჰქონდა.

- რა არის ის, რაც ყველაზე დიდ სიხარულს, ბედნიერებას განიჭებთ?

- ბედნიერება ყველასთვის განსხვავებულია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული ისაა, ჩემი ოჯახი, ჩემი შვილები და შვილიშვილები ჯანმრთელები და წარმატებულები რომ არიან. განსაკუთრებული ადგილი ჩემს გულში უკავია ჩემს შვილიშვილს, რომლის სიცოცხლეც უდიდეს გამოწვევას დაუპირისპირდა, მაგრამ დღეს, როდესაც ვხედავ, რომ ის სრულიად ჯანმრთელია, ცხოვრობს, ვითარდება და ბედნიერია, ვგრძნობ, რომ ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი და მთავარი გამარჯვება. ასევე, უდიდესი ბედნიერებაა „დენტა-ლუქსის“ განვითარება, ის, რომ წლების შრომამ შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენს კლინიკას უამრავი ადამიანი ენდობა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი მაინც ოჯახია, ის, რომ ვხედავ ჩემი შვილების და შვილიშვილების წარმატებას. მათი ბედნიერი მომავალი ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს. ყველა სირთულის, რომელიც ცხოვრების გზაზე შემხვდა, დასაძლევად ერთი მთავარი რამ მაძლევდა ძალას - მუშაობის სურვილი, მიზნისკენ სვლა და საკუთარი თავის რწმენა.

ნანა აბულაძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

R
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 17/04/25, 16 ²⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

როგორ შეძლო თვითნასწავლმა მხატვარმა სანაპიროს ქვების ამეტყველება

ოზურგეთში მცხოვრები თვითნასწავლი მხატვარი და ხატმწერი ალეკო ლომაძე ხატვის უნიკალურ ტექნიკას იყენებს. მრავალფეროვანი ნამუშევრების შესაქმნელად საღებავს საკუთარი ხელით ამზადებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ საღებავის მთავარი ინგრედიენტი ქვაა

ის ტრადიციული მეთოდებითაც ხატავს, წერს ხატებს, ქმნის პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებსა და აბსტრაქციებს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც „ქვის საღებავით“ შესრულებული ნამუშევრები იპყრობს. მხატვარი სანაპიროზე ნაპოვნ სხვადასხვა ფერის ქვებს ჯერ ჩაქუჩით ფშვნის და აშრობს, მოგვიანებით კი ამას წებოსთან აზავებს და ამგვარად დამზადებული საღებავით საინტერესო ნამუშევრებს ქმნის. წებოსა და დაფშვნილი ქვის ნაზავი, ყოველგვარი მინარევების გარეშე, სწორედ მისი მოფიქრებულია, რომელიც ფუნჯით სხვადასხვა ზედაპირზე გადააქვს. ამ მასალით შესრულებულ ნამუშევრებს ერთგვარი ბრწყინვალება ახასიათებს, არასდროს ხუნდება, რესტავრაცია არ სჭირდება, პირიქით - დროთა განმავლობაში უკეთესი ხდება. ალეკო ლომაძის თქმით, ამ დრომდე არ შეხვედრია არავინ, ვინც პიგმენტების შერევის გარეშე, იგივე ტექნოლოგიით, ფუნჯითა და ქვის მტვრით ქმნის ნამუშევრებს. მის მიერ კანონიკური წესების დაცვით დაწერილი არაერთი ხატი ინახება საქართველოსა და ევროპის ტაძრებში. მხატვრის ნამუშევრები შესულია სხვადასხვა კატალოგში. განსაკუთრებით ეამაყება საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მისი ნამუშევრები - დიმიტრი ყიფიანისა და ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტები მათივე სახელობის მუზეუმებში ინახება. შექმნილი აქვს, ასევე, პატრიარქ ილია მეორის პორტრეტიც, რომელიც სამების ტაძრის კედელს ამშვენებს. ახლახან, დედა ენის დღესთან დაკავშირებით, ქობულეთის მუზეუმის „ცვალებადი გამოფენების“ დარბაზში მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო აქ დაცული, მისი აბსტრაქციაში შესრულებული ქართული, ასომთავრული, „წინაპართა ანბანი“. უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივ ექსპოზიციაში არცერთ ქვეყანას არ აქვს თავისი ანბანის აბსტრაქტული ნახატი.



- ბატონო ალეკო, როდის და რატომ გაგიჩნდათ ქვისგან სხვადასხვა ფერის საღებავის მიღების სურვილი? ეს შემთხვევითი აღმოჩენა იყო თუ ხანგრძლივი და შეგნებული ძიების შედეგი?

- ყველაფერი - ერთად... ჩემი აზრით, ნებისმიერი დამთხვევა ადამიანის ინტუიციას უკავშირდება. შემოქმედისთვის ეს რაღაც განსაკუთრებული და გამორჩეულია. იგი უფრო უმაღლეს გონს უკავშირდება.

- ფერის შექმნა თქვენთვის პროცესი უფროა თუ შედეგი?

- პროცესი. არასოდეს იცი, სად მიგიყვანს შემოქმედებითი პროცესი. ადამიანის სულთან მიახლოების მცდელობა - ფერი იმ პირველქმნილ მატერიას ჰგავს, რომლისგანაც ხელოვნების ნიმუში იბადება.

- იცვლება თუ არა თქვენი ემოციური მდგომარეობა, როცა ფერებს თავად ქმნით?

- ეს პროცესი გვეხმარება, მივუახლოვდეთ ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდ საიდუმლოს: ვიპოვოთ პასუხი კითხვაზე - ვინ ვართ?

- ქვისგან ფერის მიღებაზე გვიამბეთ...

- შემოქმედებითი პროცესის ამ საიდუმლოს ვერავის გავუმხელ. სოციალური ქსელების მეშვეობით ხშირად ვადევნებ თვალს მხატვრებს, რომლებიც მუშაობის პროცესს გვაჩვენებენ, შემდეგ კი ყველა არაპროფესიონალი ცდილობს იგივეს გამეორებას, კოპირებას. შედეგად ვიღებთ უამრავ სპამს, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო ხელოვნებასთან. ხელოვნება დაბადებასავით საკრალური პროცესია. არაა აუცილებელი, მას ყველა ადევნებდეს თვალს, თუმცა დღეს ესეც დაუფარავი და, ზოგჯერ, საჯაროა... რასაც ხელოვანი პოულობს თავისი ინტუიციური ძიების დროს, მხოლოდ მისი და შემოქმედის ნებაა.

- როდესაც ნახატს უყურებთ, გახსენდებათ თითოეული ქვა, რომლითაც კონკრეტული ფერი შექმენით?

- ზოგიერთი მახსოვს.

- თქვენი ნამუშევრები აბსტრაქტული და სიურრეალისტურია... გქონიათ შემთხვევა, როდესაც ქვის დაფშვნამ ნახატის სიუჟეტი გიკარნახათ?

- ამას სხვა ვიბრაციები განაპირობებს, ქვის დამუშავება მხოლოდ მექანიკური პროცესია.

- შეიძლება თუ არა, ქვით მიღებული ფერები უფრო სიცოცხლით სავსე იყოს, ვიდრე ქარხნული პიგმენტით მიღებული?

- ქვის ფერები გაცილებით ნათელი და მკვეთრია. დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად ანათებს. ფერის ცვალებადობას განათება განაპირობებს, გარემო, რომელშიც ნამუშევარია მოთავსებული.

- გაქვთ თუ არა ნახატი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ?

- არა.

- ხატმწერიც ბრძანდებით... იგი მხატვრობის უმაღლესი ფორმაა თუ უფრო სულის მსახურება, ვიდრე ხელოვნების?

- ეს „მსახურება“ სულისკენაც მიემართება და ხელოვნებისკენაც.

- ხატწერაში ფერის ტექნიკა უფრო ტრადიციას ემორჩილება, ვიდრე ექსპერიმენტს - როგორ უყურებთ ამ განსხვავებას?

- შემოქმედებითი პროცესი ერთი დიდი ექსპერიმენტია, თუ ასე არაა, მაშინ იგი ოდენ ხელოსნობაა.

- გქონიათ თუ არა სურვილი, რომ ხატებიც თქვენივე შექმნილი ფერებით დაგეწერათ?

- ამას უკვე ვაკეთებ. ქვის პიგმენტის შექმნა მხოლოდ უმაღლეს ნიშანს - ხატწერას ემსახურება, ზოგჯერ განსაკუთრებით ღვაწლმოსილი ადამიანების პორტრეტების შექმნასაც. ამგვარი საღებავის შექმნა დიდი ფიზიკური და სულიერი შრომის შედეგია.

- ბუნება ყველაზე დიდი მხატვარია... რას სწავლობთ მისგან?

- ცხოვრების სიბრძნესა და სილამაზეს.

- თქვენი საყვარელი ფერი?

- და თქვენი?

- შეკვეთით თუ ხატავთ?

- მხოლოდ ხატებს ვწერ შეკვეთით.

- იცით ვინმე, ვინც მსგავს ტექნიკას იყენებს?

- ვიმოგზაურე, ბევრი მუზეუმი და გამოფენა დავათვალიერე, მაგრამ მსგავსი ტექნიკით შესრულებული ნახატები არ მინახავს. იქნებ ვინმე მუშაობს კიდეც მსგავსი მეთოდით, მაგრამ მე არ შემხვედრია.

- გამოფენებზე გვიამბეთ...

- საქართველოშიც და საზღვარგარეთაც არაერთ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა. ვიმოგზაურე ევროპაში, ვმონაწილეობდი ჯგუფურ ექსპოზიციებში, ბიენალეებში, ფესტივალებში, პროექტებში. გახლავართ წევრი და შემოქმედებითი თანაავტორი საერთაშორისო ასოციაციისა „NIMA MUNDI“ (სამყაროს სული). ამ კულტურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ორგანიზაციასთან ერთად უამრავი პროექტი განვახორციელეთ ლიტვაში, პორტუგალიაში, მონაწილეობა მივიღეთ „PS MDINA“ - მალტის ბიენალეში, საქართველოში გამართულ გამოფენებში... შარშან, ასოციაციის წევრებთან ერთად, გამოფენა მოვაწყვეთ რომში. წელს, ოზურგეთის სამხატვრო გალერეასთან ერთად, თავად მოვაწყვე იტალიელი მხატვრების გამოფენა.

- რა გეგმები გაქვთ?

- სექტემბერში იზმირში, გამომსახველობითი ხელოვნების და ქანდაკების ეროვნულ მუზეუმში, ასოციაციასთან ერთად გაიმართება გამოფენა. ოქტომბერში მონაწილეობას მივიღებ „არტ-რეზიდენციაში“, რომელიც პოლონეთის ქალაქ გდანსკის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. ამჟამად ინტენსიურად ვმუშაობ აბსტრაქციაში. ეს ძალზე საინტერესო შემოქმედებითი პროცესია.

მარიამ ხითარიშვილი

რას გვასწავლის ბაყაყ ჩიკოს თავგადასავალი, ანუ მეოთხე პრემიერა - თოჯინების თეატრში

პირველი გვერდიდან

დიდი სიბრძნეებია ჩაქსოვილი, ცხოვრებისეულია, რადგან ძალიან დიდი სიმართლეა მასში და მიხარია, რომ ბავშვები პატარა ასაკიდანვე ამას ისმენენ. ამ სპექტაკლს რომ ესწრები და ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობ, უფრო ადამიანური ხდები და ეს განუმეორებელი წუთებია. მუდმივი სიახლეები და ახალი წარმოდგენები ცხადყოფს, რომ ჩვენს ქალაქში თოჯინური თეატრის განვითარების პოტენციალი დიდია. აფიშის მრავალფეროვნება, თავის მხრივ, ზრდის მომავალი თაობის ინტერესს თეატრის მიმართ, რაც მისასალმებელია. ვულოცავ თეატრს წარმატებულ პრემიერას, მე გულწრფელად ვარ აღფრთოვანებული, - აღნიშნა კულტურის მინისტრმა ელისო ბოლქვაძემ.

- სპექტაკლის მთავარი გზავნილია ის, რომ ადამიანს არ შეუძლია სამშობლოს, იმ ადგილის გარეშე ცხოვრება, სადაც დაიბადა, გაიზარდა. არ შეუძლია მეგობრის გარეშე ცხოვრება, მთავარია, შეიძინო განათლება, ისწავლო, მიისწრაფოდე სიახლეებისკენ, დაძლიო შიში, მიუღებელია სიმუხთლე, ღალატი. იგი გვასწავლის, რომ ადამიანი შექმნილია სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის. სპექტაკლზე თვე-ნახევრის განმავლობაში ვიმუშავეთ. სამუშაო პროცესი ძალიან საინტერესო და დატვირთული იყო. მოგეხსენებათ, ეს თოჯინური სპექტაკლია და ისინი ჩვენს საამქროში, დამდგმელი მხატვრის - გიორგი გოგიტიძის ესკიზების მიხედვით შეიქმნა. კომპოზიტორი ჩვენი თანაქალაქელი მინდია ხითარიშვილი გახლავთ, რომელიც ამჟამად ისრაელში მოღვაწეობს, საიდანაც სპეციალურად სპექტაკლისთვის დაწერილი ორიგინალური მუსიკა გამოგვიგზავნა. მინდია ჩვენთან წლების განმავლობაში მუშაობდა და აღსანიშნავია, რომ მისი ხელი, მისი შემოქმედება ჩვენს თეატრს დაეტყო. მისმა შესანიშნავმა მუსიკამ საოცრად გაალამაზა სპექტაკლი და ვფიქრობ, სანახაობრივადაც, აზრობრივადაც საინტერესო გამოვიდა. ალბათ, მოზარდები მისი ნახვის შემდეგ კარგად დაფიქრდებიან, გააანალიზებენ ყველაფერს. მათთვის მხოლოდ გასართობი არ იქნება ეს სპექტაკლი, რადგან დიდაქტიკური და შემეცნებითია. იმედი მაქვს, იგი დიდხანს დარჩება რეპერტუარში, - გვითხრა რეჟისორმა ნინო დავითაშვილმა.

- „მოხერხებულ ბაყაყ ჩიკოზე“ მუშაობა თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა. კარგი შედეგი მივიღეთ, რადგან მაყურებელი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მე, როგორც ხელმძღვანელი, უბედნიერესი ვარ, რადგან ზრდასრულებთან ერთად სპექტაკლს ბავშვებიც ესწრებოდნენ, ისინი კი ჩვენი თეატრისთვის ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი მაყურებლები არიან. ვფიქრობ, ეს წარმოდგენა პატარებმა სწორად გაიგეს და მახარებს, რომ ზუსტად ის შევქმენით, რაც დღეს მათ სჭირდებათ. დიდი მადლობა რეჟისორს, ქალბატონ ნინო დავითაშვილს, გულითადი მადლობა ყველა მსახიობს, რომლებმაც დიდი შრომა და ენერგია ჩადეს დღევანდელ სპექტაკლში. ასევე, ვისარგებლებ შემთხვევით და ქალბატონ ნინოს იუბილეს ვულოცავ. მას დიდხანს შემოქმედებით წვას ვუსურვებ, - გვითხრა ბათუმის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ აჭარის კულტურის მინისტრმა რეჟისორ ნინო დავითაშვილს, 60 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მადლობის სიგელი გადასცა. მას მადლობის სიგელი ასევე გადაეცა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრისგანაც, ხოლო აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირისაგან საპატიო სიგელით დაჯილდოვდა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდ „ჩოხოსნისგან“ კი ქების სიგელით.

მარიამ ხითარიშვილი